# ლელო

№ 76
(11 225)

25 – 28 სექტემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## 33-ე საჭადრაკო ლაშქრობა


მაია ჩიბურდანიძე


ნანა იოსელიანი


ქეთევან არახამია


ნინო ხურციძე

*ორიოდ დღეში ყალმუხეთის დედაქალაქი ელისტა მოჭადრაკეთა 33-ე ოლიმპიადას უმასპინძლებს. 2000-ზე მეტი მოჭადრაკე და ჭადრაკის სპეციალისტი მიაწყდება ფიდე-ს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის სამშობლოს. მათ შორის ქართული დელეგაციაც იქნება, რომლის წევრებმაც გუშინ, ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გამართეს კარსმომდგარ ოლიმპიადასთან დაკავშირებით.*

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის ცნობით ილიუმჟინოვს ყველაფერი გაუკეთებია საიმისოდ, რომ ოლიმპიადა უნაკლოდ და მაღალ დონეზე ჩატარდეს. ხოლო რუსეთის ტელეა-

იხ. მე-5 გვ.

## „ქალბატონები და სენიორები" 36:36

ასეთი შედეგით დასრულდა „ქალბატონებისა და სენიორების" ტრადიციული მატჩ-ტურნირი, რომელიც უკვე მეშვიდედ ჩატარდა.

დიდხანს წინ ვაჟები იყვნენ, მაგრამ უკანასკნელ ტურებში მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის ჩინებული თამაშის წყალობით ქალებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

პირველ ადგილზე 67 წლის ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) გავიდა, რომელმაც ქალებთან ჩატარებული 12 პარტიიდან 9 ქულა მოაგროვა.

ბრწყინვალედ ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც ვაჟებთან 12 პარტიიდან 7,5 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბორის სპასკიმ (საფრანგეთი) – ქალებთან. კარგად ითამაშა ნანა იოსელიანმაც, რომელმაც ქალთა და ვაჟთა საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტს ბ-ნ ჯ. ბაგრატიონს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტის ბატონ ჟაკ როგის

### მოლოცვა

პატივცემულო პრეზიდენტო,
ძვირფასო მეგობარო,



მსურს გულითადად მოგილოცოთ ოლიმპიური ორდენით დაჯილდოება, რითაც სოკ-მა (საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა) აღიარა თქვენი უდიდესი დამსახურება ოლიმპიურ მოძრაობაში არა მხოლოდ საუკეთესო სპორტსმენის, არამედ შესანიშნავი სპორტული ხელმძღვანელის სახითაც.

ველი თქვენთან შეხვედრას პეტერბურგში.

პატივისცემით,

**დოქტორი ჟაკ როგი**



## ისევ „დინამო" – „მრეტების" შესახებ

ამ დღეებში გავრცელდა ხმები, რომ 24 სექტემბერს ფიფას ალმასკომს უნდა განეხილა „დინამო" – „მრეტების" დავის საკითხი. როცა დავინტერესდით, „დინამოს" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გაიკვირვა და თქვა, რომ არც მან, არც სფფ-მ ამის შესახებ არაფერი იცის და დასძინა, რომ თუ ფიფა საკითხს განიხილავს, ანგარიშს გაუწევს ჩვენი ფედერაციის საგანგებო კომიტეტის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას.

## მილოცვა, წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსს ***ამირან აბესაძეს.***

* * *

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ***ამირან აბესაძეს*** „სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება" მიანიჭა.

## სუმო

## გმირები შინ დაბრუნდნენ...

ქართველების ოსტატობით გაოცებულმა და მოხიბლულმა სუმოს მამებმა ჩვენებს სუმოს ფორმა აჩუქეს და ტატამიც კი ახსნეს და უსახსოვრეს.

ქართველების ისეთ ტრიუმფს სპორტის უძველეს აზიურ სახეობაში როგორიც სუმოა ნამდვილად არავინ მოელოდა მთელს ევროპაში. არადა, სულ ოთხად ოთხმა ჩვენმა ფალავანმა საერთო ჯამში 9 საპრიზო ადგილი და რვა მედალი მოიპოვა. გვესაუბრა სუმოს ახალშექმნილი ფედერაციის პრეზიდენტი ***თენგიზ რუხაძე,*** რომელიც




დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

– სუმომ ევროპაშიც შემოაბიჯა და მას, როგორც მომავალ ოლიმპიურ სპორტის სახეობას მთელი რიგი ქვეყნები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. კონტინენტის ამ პირველობაში 16 ქვეყნის 180 ათლეტი მონაწილეობდა. გვითხრა თენგიზ რუხაძემ.

● ***ბატონო თენგიზ, ტელეფონით მიღებულ პირველი ინფორმაციით შესაძლოა რაიმე უზუსტობა გაიპარა გაზეთში. თუ შეიძლება დაწვრილებით გვიამბეთ ვინ როგორ იასპარეზა?***

– თავდაპირველად გეტყვით, რომ უმედლოდ არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა. მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილმა III ადგილი დაიკავა, აბსოლუტურში – II იყო, ლევან ჯაფარიძეს (115 კგ-მდე) და გიორგი წმინდაშვილს (85) ბრინჯაოს მედლები ხვდათ. ჯონდო დაბრუნდაშვილი აბსოლუტურ წონაში III ადგილზე გავიდა. შემდეგ პირად-გუნდურ პირველობაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ნაკრებები, პრინციპით გუნდი-გუნდზე, სადაც ნახევარფინალში წავაგეთ გერმანელებთან. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. გერმანია, 2. პოლონეთი, 3. საქართველო. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ვაჟებმა II ადგილი დაიკავეს, ვინაიდან ქალთა გუნდი არ გვყავდა აქ V ადგილზე გავედით ერთობლივი ჩათვლის ჯამში.

● ***სუმოში, რამდენადაც ვიცით, მსოფლიო პირველობა განსხვავებული პრინციპით ტარდება, კონკრეტულად ხომ არაფერს გვეტყოდით?***

– ევროპიდან, მაგალითად, ერთი გუნდი გავა. კონტინენტის ნაკრებში მოხვედრის შანსი ეძლეოდათ მხოლოდ საპრიზო ადგილებზე გასულებს. ჩვენგან ნაკრებში ჩარიცხეს დავითაშვილი და დაბრუნდაშვილი, სულ კი ლიმიტით მხოლოდ ასეთი 4 გუნდი იქნება ევროპიდან. ევროპის უძლიერესი სპორტსმენები, მათ შორის დაბრუნდაშვილი და დავითაშვილი მიწვეულნი არიან ატლანტაში, ოლიმპიურ ცენტრში ერთთვიან შეკრებაზე, სადაც ტურნირებშიც გამოვლენ.

● ***საქართველო უკვე ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად წარმოჩინდა, რას გვაძლევს ეს. მივიღებთ დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან?***

– მონაწილეებმა იქვე დაგვირიგეს სპორტული ფორმა, გვაჩუქეს თავიანთი ქამრები, ორგანიზატორებმა კი ტატამი ჩვენს თვალწინ ახსნეს ფიცარნაგიდან და გვისაჩუქრეს, ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციებიც არ დაგვტოვებენ უყურადღებოდ.

● ***რამდენადაც ვიცით, სემინარიც იყო დაგეგმილი...***

– დიახ, ჩატარდა სემინარი და გაიცა სერტიფიკატები. ჩვენგან მწვრთნელის წოდება მიიღო ზურაბ რეხვიაშვილმა, მსაჯისა – ანზორ მარტყოფლიშვილმა და მერაბ ლოსოურაშვილმა.

მ. ფუფუნავა

## სამბო მსოფლიო პირველობა

## ერთი ნაღდი ოქროს მედალი ჩვენიცაა

**მსოფლიო სპორტის ისტორიაში ჩემპიონის ოქროს მედლის მასამ პირველად მიაღწია „ასტრონომიულ" წონას და იგი 35 გრამს აღემატება. ერთი ასეთი მედლის „განძთსაცავი" ამიერიდან თბილისიც იქნება. ეს მედალი, რომლის ზუსტი წონაა 35,57 გრამი, კრასნოიარსკიდან ჩამოიტანა ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულმა ნიკო ბიბილაშვილმა.**

● *ნიკო, ნამდვილი ოქროა? პირველივე შეკითხვით მივმართეთ რედაქციაში მოსულ სტუმარს.*




– რა თქმა უნდა. აი, ნახეთ, – გვეუბნება და ჯიბიდან პატარა ყუთს იღებს, სწორედ ისეთს, რომელშიაც ოქროს ნაწარმია ხოლმე შეფუთული, · მედალს თან ახლავს სინჯისა და ზუსტი წონის დამადასტურებელი საბუთი. ოქროს სინაღდე ჩვენს ექსპერტებსაც დაუდგენიათ.

● *გილოცავთ, ახლა უშუალოდ თქვენს შესახებ, როგორ მოიპოვეთ პირველობა?*

– ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოვიგე 74 კგ წონაში. სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს, ვისაც ფინალში შევხვდი, რუსეთის წარმომადგენელი იყო, მას 6:0 ვაჯობე. რედაქციაში ნიკოსთან ერთად მოვიდა ნაკრების მწვრთნელი ემილ რაში, მისი ორი თანაგუნდელი გორელი ნიკოლოზ ზაუტაშვილი (68 კგ), რომელმაც ამ პირველობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და თბილისელი მიხეილ ჩხეიძე (მძიმე), რომელსაც ასევე მესამე ადგილი ხვდა წილად. სულ ჩვენს გუნდში ხუთი სპორტსმენი იბრძოდა 18 ქვეყნის რჩეულ სპორსტმენთა შორის წარმატებისათვის. კიდევ ორმა ქართველმა ათლეტმა ათეულში დაიმკვიდრა ადგილი – თბილისელი გიორგი ჩადუნელი (90) – მეხუთე იყო, რუსთაველი გიორგი შუბითიძე – მერვე.

– შესანიშნავად მიგვიღეს, შეჯიბრება ჩატარდა უმაღლეს დონეზე, ასპარეზობა თვით კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორმა ცნობილმა გენერალმა ლებედმა გახსნა, ის გამორჩეული ოქროს მედლებიც მისი განკარგულებით დაუმზადებიათ, სხვათა შორის, ლებედმა ჩვენთან სურათიც გადაიღო.

ოქროსმედალოსანი ბიბილაშვილი კი, კვარცხლბეკზე ჩვენმა თანამემამულე გ. დიმიტრი მინდიაშვილმა დააჯილდოვა – გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა.

დავძენთ, რომ ბიბილაშვილი წლეულს ახალგაზრდებს


ნიკო ბიბილაშვილი

შორის ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიო თასის გათამაშებაში კი მესამე იყო, ახლა ეს 19 წლის ათლეტი დიდებში მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება და მწვრთნელებს კვლავ აქვთ მისი წარმატების იმედი. ზაუტაშვილი ჭაბუკებში შარშანდელი ევროპის პირველობის მეორე პრიზიორია, ჩხეიძე კი შარშანვე ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე იყო მეორე, წლეულს მსოფლიო პირველ ახალგაზრდულ თამაშებშიც ვერცხლის მედალი ხვდა.





ნიკო ზაუტაშვილი

კრასნოიარსკელებს გამოუცხადებიათ, რომ ისინი 2001 წლისათვის მსოფლიო პირველობის მასპინძლობას აპირებენ. აბა, მაშინ ნახეთ, ცხადია, ამასობაში ლებედი თუ რუსეთის პრეზიდენტი არ გახდა.



## პირველობა 9 გუნდით ჩაივლის

ადრე გატყობინებდით, ქართული კალათბურთის მესვეურებმა ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლების მიზნით გადაწყვიტეს მონაწილე გუნდების რაოდენობა ათამდე შემცირდეს. გაისისთვის კი მათი რიცხვი რვამდე უნდა დავიდეს. ახალი ჩემპიონატი, სავარაუდოდ, 1 ოქტომბერს დაიწყება და აი, ასპარეზობის სტარტზე გაირკვა, რომ ათეულს ერთი გუნდი – თბილისის ასკ გამოაკლდა, რის გამოც, წინასწარ შედგენილი კალენდარი შესაცვლელი გახდა. ამბობენ, კალათბურთის ფედერაცია თამაშების ახალ განრიგთან ერთად ჩემპიონატში დაძაბულობის შემოტანის მიზნით პლეიოფების ორიგინალურ სისტემას გვთავაზობს: თუ დაწყვილებულ გუნდებს შორის წინასწარ ეტაპზე ანგარიში 4:0 იქნება, მაშინ გამარჯვებული გუნდი სერიაში ორი მოგებით შევა, 3:1-ის შემთხვევაში – ერთი მოგებით. შესაბამისად, სერია ოთხ და სამ მოგებამდე გასტანს.

„გუმათე"

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი VIII ტური

ამ ტურისა და, ალბათ, პირველი წრის ცენტრალური მატჩი დღეს, 25 სექტემბერს, 17 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება – თბილისისა და ბათუმის დინამოელებს შორის. ამ შეხვედრისადმი ინტერესს აძლიერებს ის გარემოება, რომ თუ წინა წლებში დედაქალაქელების უპირატესობა აშკარა იყო, ახლა მდგომარეობა შეიცვალა – ბათუმელებმა მეტოქეს მაისში თასის ფინალში, აგვისტოში კი სუპერთასზეც სძლიეს.

ტურის სხვა შეხვედრები 26 და 27 სექტემბერს გაიმართება. ქართველი გულშემატკივრები კვირას ინტერესით მიადევნებენ თვალს „არსენალისა" და „ტორპედოს" მატჩს. ორივე გუნდი აღმავლობის გზას დაადგა.

ვეტერანი — მატიანეს!

# სამაგალითო ღვაწლითა და კაცობით...



საზოგადო საქმისთვის თავდადება ნებისმიერი ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობაა, მაგრამ ამას ყველა ვერ ახერხებს, ან, უბრალოდ, არ სურს, ვინაიდან წყნარ და უშფოთველ ცხოვრებას ირჩევს. ივანე ბოჭორიძემ პირადი მაგალითით ყველას დაანახვა თუ რა შეუძლია მონდომებას, შენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, მისი კეთილდღეობისათვის მიზანმიმართულ და არა იმპულსურ ზრუნვას.

ერთი შეხედვით დინჯი, გაწონასწორებული, მშვიდი ბუნების ეს ადამიანი, ფაქტობრივად ბობოქარია, მით უფრო, როცა მიზნისკენ მიისწრაფვის. უმიზნოდ და ხელმძღვანელის სავარძელში განცხრომით კი ერთი წუთითაც არ უცხოვრია თავისი საქმიანობის გრძელ გზაზე. თითქოს თავის ენერგიასაც კი უწილადებდა თანამდგომთ, მაგრამ, რაც მეტს გასცემდა ამ უხილავ ენერგიას, მით უფრო მეტი ძალა ემატებოდა თავადაც და ირგვლივ მყოფთაც.

არიან ისეთებიც, რომლებიც მართლაც ჩინებულად უძღვებიან მინდობილ საქმეს, მაგრამ გოროზი ხასიათის გამო, ის ადამიანები, ვინც ამ საქმეს აკეთებენ, ნაკლებად აინტერესებთ. ჩვენი დღევანდელი იუბილარისთვის ასეთი რამ მუდამ ისევე უცხო და მიუღებელი იყო, როგორც „პილპილ მოყრილი მადლი“, ადამიანში იგი მუდამ ჯერ ადამიანს ხედავდა და ხედავს, მერე მის შესაძლებლობებს.

ბევრი ახალგაზრდა იმედით დაუმოძღვრია და შეუყენებია ცხოვრების რთულ გზაზე, საგზლად კი საქმისადმი და ადამიანებისადმი დამოკიდებულების პირადი მაგალითი გაუყოლებია. ამ აზრს ათეულწლებში ახუნძლული სიკეთე ადასტურებს, თვით ამ სტრიქონების ავტორის შრომითი ცხოვრების პირველი ნაბიჯებიც მის სახელთანაა დაკავშირებული და ერთი იმ მაგალითთაგანია, რომელზედაც ეს ესაა ითქვა.

ივანე ბოჭორიძეს ბევრგან უმუშავია, მაგრამ არასდროს და არავის მის მოსვლამდე იმ სიმაღლეზე არ აუყვანია საქმე, რასაც ის მემკვიდრეობით იღებდა. ზოგადიდან, რაც მას ყოველ ახალ თანამდებობაზე ხვდებოდა მემკვიდრეობით, ყველაფერი კონკრეტულ მიზნამდე დაჰყავდა და, რაც უმთავრესია, რეალობად აქცევდა. ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა, რომ სპორტის მადლს, რაც შეიძლებოდა მეტი და მეტი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის თანამემამულენი ზიარებოდნენ. მის ხელში მუდამ საქმე იყო მეტყველი და არა სიტყვა. კარგად უწყოდა: მთავარი ის კი არაა, ადამიანებს მოწოდებებით და ლოზუნგებით ჩააგონო სპორტის მეშვეობით ჯანმრთელობის სიკეთე, არამედ ის, რომ შეუქმნა მათ საამისო პირობები და თავადვე იგემონ მისი ნაყოფი. დიდი სპორტის „ახალი საბადოებიც“ მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმით გაიხსნა და აღმოცენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ბავშვთა სპორტსკოლების ქსელის გაფართოებამ ახალი იმპულსი მისცა ქართულ სპორტს. ეს იმპულსი დღემდე კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს სპორტს.

ბევრისგან განსხვავებით, ეს კაცი ხმამაღლა არასოდეს იწონებს თავს იმით, რაც გააკეთა, სამაგიეროდ, ხალხმა იცის, ხალხს ყველაფერი ახსოვს, სიკეთეს ხომ ხალხის მეხსიერება არასოდეს ივიწყებს.

ერთი შტრიხი: იმისათვის, რომ თავისი სამშობლოსა და ხალხისთვის მეტი სიკეთე მოეტანა, მუდამ იმის ფიქრსა და განსჯაში იყო, როგორ მოეზიდა მეტი სახსრები მოსკოვიდან. მაშინდელ პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოს პირდაპირ მოსთხოვა საქართველოში გაეხსნათ და დაეფინანსებინათ ბავშვთა სპორტსკოლები. იქ, უნარიანი ქართველი ხელმძღვანელის ყოველ წინადადებებს გაგებით ეკიდებოდნენ...

***თენგიზ გაჩეჩილაძე***

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, მეტეხის გამგეობის წარდგინებით, ***ივანე ბოჭორიძის*** სახელი მიანიჭა მეტეხის სპორტულ დარბაზს.

* * *

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავენ ***ივანე ბოჭორიძეს.***

## დებიუტანტი



### ნიკოლოზ გილაშვილი

ძიუდო

***დაიბადა*** 1981 წ. საგარეჯოში
***წონა*** – 60 კგ.
***სიმაღლე*** 170 სმ
***ძიუდოში*** ვარჯიშობს 1990' წლიდან.
***პირველი*** მწვრთნელი – მიხეილ ქურხული.
***საგარეჯოს*** მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეა
***ამჟამად*** ავარჯიშებს ამირან ტოტიკაშვილი
***„შევარდენის“*** წევრია.
თანატოლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული.
ჭაბუკთა ნაკრებში პირველი ნომერი და გუნდის კაპიტანია.
ჰობი – ტურისტული ლაშქრობა.

## ოქტომბრის პირველი კვირადღე საქართველოს სპორტის დღეა!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტული საზოგადოებები და ფედერაციები წინასწარ გილოცავთ ამ დღეს და იმედს გამოთქვამენ, რომ იგი ქვეყანაში მასობრივ სპორტული ღონისძიებებით აღინიშნება.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

შაბათს, 12 საათზე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიაში გაიმართება პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნება თბილისის ქალთა ღია პირველობას. ტურნირის დირექტორი ქალბატონი ლეილა მესხი ისაუბრებს ამ ტურნირის შესახებ და თქვენს შეკითხვებს ამომწურავ პასუხს გასცემს.

მისამართი: მარჯანიშვილის, 29.

## მკითხველი, გაზეთი

**შეკითხვა: ცნობილია, რომ დაწესებულია სამეწარმეო გადასახადი. ითვლება თუ არა ქონების იჯარით გადაცემა სამეწარმეო საქმიანობად?**

ელენე მენაბდე, ქუთაისი

პასუხი: „საგადასახადო კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ქონების იჯარით გადაცემა არ ითვლება სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემატურად და იგი დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან.

## საქართველოს 33 ოლიმპიური იმედი — ჯერჯერობით!

***„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაფორმდა ხელშეკრულებები იმ სპორტსმენებთან, რომლებიც ემზადებიან სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის და სათანადო ლიცენზიების მოპოვების შემდეგ ჩაირიცხებიან ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებში. ხელშეკრულებები დაიდო აგრეთვე სპორტსმენთა მწვრთნელებთან. ამ პუბლიკაციის შემდეგ რედაქციაში გვირეკავენ და გვთხოვენ კონკრეტულად გავაცნოთ ისინი, ვინც დღეს წარმოადგენს საქართველოს ოლიმპიურ იმედს 2000 წლისათვის. გთავაზობთ სრულ სიას.***

**1. ჭიდაობა**

**თავისუფალი სტილი**

ელდარ კურტანიძე
დავით პოღოსიანი
ემზარ ბედინეიშვილი
ალექსანდრე მოდებაძე
ოთარ თუშიშვილი
დავით ოთიაშვილი

**ბერძნულ-რომაული სტილი**

ხვიჩა ბიჩინაშვილი
მირიან გიორგაძე
აკაკი ჩაჩუა
ტარიელ მელელაშვილი
გიორგი ჯინჭველაშვილი

**2. ძიუდო**

დავით ხახალეიშვილი
გიორგი ვაზაგაშვილი
გიორგი რევაზიშვილი
ნესტორ ხერგიანი
სოსო ლიპარტელიანი
ივერი ჯიქურაული
გიორგი გუგავა
რამაზ ჩოჩიშვილი

**3. ტყვიის სროლა**

ნინო სალუქვაძე

**4. წყალში ხტომა**

ნანა ნებიერიძე

**5. ძალოსნობა**

გიორგი ასანიძე
მუხრან გოგია

**6. კრივი**

კობა გოგოლაძე
რამაზ გაზაშვილი
ვლადიმერ ჭანტურია
ზაზა კუჭავა

**7. სპორტული ტანვარჯიში**

ილია გიორგაძე

**8. თანამედროვე ხუთჭიდი**

დავით ჭულუხაძე

**9. ბატუტი**

რუსუდან ხოფერია

**10. მძლეოსნობა**

ნინო ბაგაშვილი

**11. მხატვრული ტანვარჯიში**

ინგა თავდიშვილი

**12. ჩოგბურთი**

ირაკლი ლაბაძე

**მწვრთნელები**

შოთა ხაბარელი (ძიუდო)
ზაზა თურმანიძე (ჭიდაობა)
მერაბ დარჩია (ჭიდაობა)
ზურაბ გუნია (კრივი)
ვახტანგ სალუქვაძე (სროლა)
ივანე გრიქუროვი (ძალოსნობა)
ამირან შეროზია (თანამ.ხუთჭ.)
ზაქარია სულაშვილი (ბატუტი)


## ახალი, ყველასაგან გამორჩეული, საიმედო

„ლელოს“ №74 ნომერში გაუწყეთ, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური შესასვლელის ფოიეში გაიხსნა ახალი, უნივერსალური ყველასგან გამორჩეული, საიმედო აფთიაქი, რომელსაც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები ემსახურებიან და სადაც ყველაფერი შეგიძლიათ მოიკითხოთ და მიიღოთ კიდეც, რაც მსოფლიო ფარმაკოლოგიაშია ლიცენზირებული და დანერგილი.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 49 ა. ტელ: 29-23-05.




ინტერვიუ ტელეფონით

## ზურაბ ახმეტელი: ჩვენი მთავარი დასაყრდენი სპორტულ სამყაროში დაუნჯებული ნიჭი და შესაძლებლობებია



ზურაბ ახმეტელი

პოლიტიკურ არენაზე ახალგამოჩენილმა პარტიამ „სპორტული საქართველო“, უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში და, შეიძლება თამამად ითქვას, ჯანსაღი აღფრთოვანება და აჟიოტაჟიც კი ახლავს თან. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ამ პარტიის გენერალურ მდივანთან, საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარესთან, ბატონ **ზურაბ ახმეტელთან.**

● ***ბატონო ზურაბ, რა სტადიაშია პარტიის საქალაქო, რაიონული და ძირეული რგოლების შექმნის ორგანიზაციული საკითხები?***

— ყველაფერი გეგმით, დინჯად, საქართველოს კონსტიტუციისა და ჩვენივე წესდების სრული დაცვით მიმდინარეობს.

● ***გავიგეთ, რომ ბევრგან აღფრთოვანებით ხვდებიან თქვენი პარტიის ჩამოყალიბებას, ფოთში, მაგალითად, მისი დაფუძნების დღე ლამის ზეიმად იქცეულა...***

— დიახ, და არა მხოლოდ ქვეყნის ამ ძირითად საპორტო ქალაქში.

● ***პარტიას ალბათ სტრატეგიაც აქვს შემუშავებული...***

— რა თქმა უნდა. ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ ჩვენი სახელგანთქმული ჩემპიონების მქუხარე სახელებს ვეყრდნობით. არა და არა! ამ ცნობილ სპორტსმენთა შორის ბევრია ასევე ცნობილი იურისტი, ეკონომისტ ბიზნესმენი, სხვა პროფესიის წარმომადგენლები. თუ დასაყრდენზეა საუბარი, ჩვენი პარტია სწორედ მათ ხალას ნიჭს, გამოცდილებას, უნარ-შესაძლებლობებს დაეყრდნობა უპირველესად და არა მათსავე სპორტულ მიღწევებს, არ ვაპირებთ გამოვიყენოთ ფარად ეს უპირატესობა. ხალხი ბრძენია! და კიდევ: ქვეყანას, მის დამოუკიდებლობას, წინსვლას ჯანსაღი თაობა ესაჭიროება. ფიზიკური მხნეობა ხომ სულიერი მხნეობაცაა. ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, გნებავთ, მისი დამოუკიდებლობა, სწორედ ასეთმა ახალგაზრდობამ უნდა დაიცვას.

● ***ბატონო ზურაბ, ჩვენში ასე მომრავლებული პოლიტიკური ძალები როგორ შეხვდნენ თქვენს გამოჩენას ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში?***

— ვინ როგორ. მაგრამ ჩვენი სტრატეგიის ერთი უმთავრესი ამოცანაა მათ და ყველას, უპირველესად ხალხს, დავუმტკიცოთ, რომ ჩვენს პარტიას, კარგად გამიგეთ, „ძალა შესწევს ქადილისა“, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება, ანუ „სიტყვა იქნება საქმიანი და საქმე სიტყვიანი“. დიახ, საქმე იმეტყველებს. ჩვენ დიდი, ძალიან დიდი ოჯახი ვართ და ერთად, ერთ პოზიციაზე და ქვეყნისათვის სასიკეთოდ ერთად შემართულნი, ჩანაფიქრს რეალობად ვაქცევთ. კიდევ ვიმეორებ, ლამაზი სიტყვები და დაპირებები უსაქმოდ „წყალია“ და სხვა არაფერი.

● ***პოლიტიკური ბრძოლა, მაინც პოლიტიკური ბრძოლაა...***

— ჩვენ ეს კარგად გვესმის, სპორტულ სამყაროში მხოლოდ პატიოსანი ბრძოლაა მიღებული და ამ წესს, ყველგან სანთელივით წავიმძღვარებთ.

● ***ჩვენი გაზეთიც ამ სამყაროს ნაწილია, გვიგულეთ თქვენს გვერდით...***

— ძალიან დიდი მადლობა.

ესაუბრა
თენგიზ გაჩეჩილაძე

## ჯანმრთელობის კუთხე

*უძღვება თერაპევტი ნინო აფაქიძე*

### სისხლის ნორმალური წნევა კაცებისათვის და ქალებისათვის ასაკის მიხედვით

| | კაცები | ქალები |
|---|---|---|
| ათი წლის ასაკში | 103/69 | 103/70 |
| ოცი წლის ასაკში | 123/76 | 116/72 |
| ოცდაათი წლის ასაკში | 126/79 | 120/75 |
| ორმოცი წლის ასაკში | 129/81 | 127/80 |
| ორმოცდაათი წლის ასაკში | 135/83 | 137/84 |
| სამოცი წლის ასაკში | 142/85 | 144/85 |
| სამოცდაათი წლის ასაკში | 145/82 | 159/85 |
| ოთხმოცი წლის ასაკში | 147/82 | 157/83 |
| ოთხმოცდაათი წლის ასაკში | 145/78 | 150/79 |




იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოლიმპიადა, რომელიც ყველას გვაღელვებს

როცა ლაპარაკია საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ორია და მათ ერთმანეთთან რაიმე პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ. თუ ვაჟთა შორის ახლა ელისტაში 33-ე ასეთი შეჯიბრება ტარდება, ქალთა შეჯიბრება მხოლოდ მეოცეა. ადრე ეს ტურნირები სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა, ახლაც განსხვავებულია გუნდების შემადგენლობა. თუ ვაჟებს 4 ძირითადი და 2 სათადარიგო მონაწილე ჰყავთ, ქალთა ნაკრებში 3 ძირითადი და 1 სათადარიგო მოჭადრაკეა. ამჟამად საერთოა ის, რომ ორივე ოლიმპიადა ერთ ქალაქში გაიმართება შვეიცარიული სისტემით, 14 ტურად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრება საკმაოდ ხანგრძლივია და მეტნაკლებად ობიექტური შედეგებით მთავრდება. ის, ვისაც ჩემპიონობა სურს, თუ მთლად თავიდან არა, მეხუთე-მეექვსე ტურიდან მოყოლებული, მხოლოდ უძლიერეს მეტოქეებს ხვდება.

შეჯიბრება ელისტაში 26 სექტემბერს გაიხსნება, 27 სექტემბერს კი პირველი ტურია. აი, საქართველოს ნაკრებების შემადგენლობა: ქალები – 1. მაია ჩიბურდანიძე. 2. ნანა იოსელიანი. 3. ქეთევან არახამია. 4. სათადარიგო მონაწილე ნინო ხურციძე. ვაჟები – 1. ზურაბ აზმაიფარაშვილი. 2. გია გიორგაძე. 3. ზურაბ სტურუა. 4. ლაშა ჯანჯღავა. სათადარიგო მონაწილეები ხვიჩა სუპატაშვილი და გია ბაღათუროვია.

დავიწყოთ ოლიმპიადების ზედიზედ სამგზის: 1992, 1994 და 1996 წლების გამარჯვებულ ქალთა ნაკრებით, რომელიც იგივე ამოცანას ისახავს. ახლა ქართველი დიდოსტატი-ქალების ამოცანა გართულებულია (იგი ხომ ყოველწლიურად რთულდება!), მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგი ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია.

როგორი მაჩვენებლებით ხვდებიან ქართველი ქალები ამ ოლიმპიადას? მაია ჩიბურდანიძემ წლის პირველი ნახევრის რეიტინგ-ლისტში მცირეოდენი, 10 პუნქტი დაკარგა და ახლა ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეოთხეა (2525). ყველა შეგვაშფოთა ავტოკატასტროფამ, რომელშიც ჩვენი სახელოვანი დიდოსტატი მოჰყვა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იგი მთლიანად განიკურნა და ამ დღეებში „ქალბატონებისა და სენიორების“ მატჩში კარგად ითამაშა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ლიდერს თამაში მოსწყურდა. თუ ლიდერობაზეა ლაპარაკი, ეს როლი მაიას მართლაც რომ ძალიან შეეფერება. ხუმრობა ხომ არ არის, იმ სამ ოლიმპიადაზე, სადაც ჩვენმა ნაკრებმა გაიმარჯვა, ჩიბურდანიძეს ერთი პარტიაც არ წაუგია. მან ბოლოს ერევანში 12 შეხვედრიდან (სულ ორჯერ დაისვენა) 8,5 ქულა მოაგროვა, რაც ჩინებულ შედეგად ითვლება. აქვე ვთქვათ, რომ ერევანში 74 ნაკრები თამაშობდა, ქართველმა ქალებმა 42 შესაძლებლიდან 30 ქულა მოაგროვეს.

მაია ჩიბურდანიძის მსგავსად ჩინებული საგუნდო მებრძოლია ნანა იოსელიანი (მან ერევანში 13 პარტიაში 10 ქულა მოაგროვა). იგი მტკიცე პოზიციური სტილით თამაშობს, აქვს კარგი თეორიული მომზადება, თანდათანობით ავიწროებს მეტოქეს. ამასთან, ნანასთან ბრძოლის გამწვავება ძალიან საშიშია, ვინაიდან იგი პოზიციის სწორად აგებასთან ერთად, შესანიშნავად თვლის ვარიანტებს. თავის დროზე ნანას ერთ-ერთი მასწავლებელი, სახელგანთქმული მიხეილ ბოტვინიკი მაღალი აზრისა იყო მისი სტილის შესახებ. თუ ვიქტორ გოგლიძის ხუმრობას გავიხსენებთ, ნანა იოსელიანი ისეთ მოჭადრაკეებს მიეკუთვნება, რომელთა წინააღმდეგ „კომბლით შეიარაღებული ვერავინ წავა“. მრავალწლიანმა სატურნირო თუ სამატჩო გამოსვლებმა ნანას ძვირფასი გამოცდილება მისცა, რაც დიდად გამოადგება ხოლმე საქართველოს ნაკრებს. იგი ახლა მერვეა მსოფლიო რეიტინგ-ლისტში (2495), წლის პირველ ნახევარში 10 პუნქტი მოემატა.

ამდენივე დააკლდა ქეთევან არახამიას (2420), რომელიც ახლა მსოფლიო რეიტინგ-ლისტში მხოლოდ 23-ე ადგილზეა. ისე კი, არახამია მესამე დაფაზე საქართველოს ნაკრებისათვის პირდაპირ შეუცვლელია. ქეთევანი ყოველთვის საბრძოლველადაა განწყობილი. შეუძლია დაფაზე ცეცხლის დანთება. ძალიან ხშირად სწორედ მის მიერ მოპოვებულ ქულას მოუტანია გუნდისთვის გამარჯვება. არახამიას, რომელიც შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში ცხოვრობს, საკმაო სატურნირო პრაქტიკა აქვს. ერევანში მან 10 თამაშიდან რვა ქულა მოაგროვა, ახლაც, ჩვენი ვარაუდით, კარგად უნდა ითამაშოს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ქეთევანს ელისტაში არც ისე ძლიერი მეტოქეები ეყოლება, რომელთა წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ემარჯვებოდა.

დიდი ინტერესით მოველით საქართველოს ნაკრებში 23 წლის ნინო ხურციძის დებიუტს. ნინო შეუპოვარი მებრძოლია, უკვე საკმაოდ გამოცდილიც. ახლა იგი მსოფლიოში 46-ე ადგილზეა (2375), თუმცა, ალბათ, მოკლე ხანში მკვეთრად უნდა წაიწიოს წინ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ძირითად მეტოქეებს შესანიშნავი ლიდერები ჰყავთ. რუსეთის ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ალისა გალიამოვა, ჩინეთის გუნდში – მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სიუ ჟუნი, შვედებს თავკაცობს პია კრამლინგი, უნგრელებს – სოფია პოლგარი, ბულგარელებს – ანტუანეტა სტეფანოვა, იუგოსლავიელებს – ალისა მარიჩი, პოლონელებს – მონიკა მილოსლავსკა, რუმინელებს – კორინა პეპტანი. ეს ხომ მთელი თანავარსკვლავედია.

ერთი სიტყვით, ქალთა ასპარეზობა მეტად მძაფრი უნდა გამოდგეს.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს ვაჟთა ნაკრების მზადყოფნის შესახებ?

ზურაბ აზმაიფარაშვილი ოლიმპიადებზე ყოველთვის ღირსეულად თამაშობდა. მას მეტად მტკიცე და საიმედო თამაშის სტილი აქვს. მეტოქეს არასოდეს აპატიებს შეცდომას. მდიდარი ინტუიცია საშუალებას აძლევს შეცვალოს ბრძოლის მიმართულება, თანაბრად ძლიერია როგორც პოზიციურ მანევრებში, ისე კომბინაციურ შეხლა-შემოხლაში. ახლა ზურაბი 2655 პუნქტით მსოფლიოში მე-20-24-ე ადგილებს იყოფს. მისი მონაწილეობა ელისტის ოლიმპიადაზე მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატთან დაკავშირებითაც გვაინტერესებს – როგორ ითამაშებს აზმაიფარაშვილი თანამედროვეობის წამყვან დიდოსტატებთან.

გია გიორგაძე (2610) ახლა მსოფლიოში 59-ეა. აზმაიფარაშვილისა არ იყოს, დეკემბერში მასაც მოელის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა. გიორგაძე ძალიან კარგი შედეგებით თამაშობდა ყველა წინა ოლიმპიადაზე და ახლაც ჩვენს გუნდს სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს. ზურაბ სტურუა (2600) ახლა მსოფლიოში 77-87-ე ადგილებს იყოფს და საიმედო საგუნდო მებრძოლია. ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეები ლაშა ჯანჯღავა, ხვიჩა სუპატაშვილი და ნაკრების დებიუტანტი გია ბაღათუროვი სათანადოდ არიან მომზადებული.

მაინც რომელი ადგილის დაკავება ძალუძს საქართველოს ნაკრებს ელისტაში? იგი ერევანში 114 მონაწილეს შორის მერვე იყო, 56 შესაძლებლიდან 33 ქულა მოაგროვა, რაც კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, ჩვენები ახლაც უძლიერესთა ათეულში იქნებიან, თუმცა დიდი ბრძოლის გადახდა მოუწევთ.

ახლა კი ისევ გუნდების ლიდერებს გადავხედოთ. ესენია ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ბორის გელფანდი (ბელარუსი), იუდით პოლგარი (უნგრეთი, დიახ, იუდითი კვლავ ვაჟთა ნაკრებს ლიდერობს), იან ტიმანი (ჰოლანდია), მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი), ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი), ლემბოტ ოლი (ესპანეთი), ულფ ანდერსონი (შვეცია), ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია, უკრაინის ნაკრების ყოფილი ლიდერი), სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი, ყოფილი თბილისელი), არტურ იუსუპოვი (გერმანია), პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) და სხვები.

გარდა ამისა, ოლიმპიადაზე ახალგაზრდა ნიჭიერი დიდოსტატების მოზრდილი ჯგუფი მონაწილეობს. მეტად საინტერესოა, როგორ ითამაშებენ 19 წლის პეტერ ლეკო და 22 წლის ზოლტან ალმაში (ორივე – უნგრეთი), 22 წლის პეტრე სვიდლერი და 21 წლის ალექსანდრ მოროზევიჩი (ორივე – რუსეთი), ფრანგი ვუნდერკინდი ეტიენ ბაკრო და სხვები.

მაშ ასე, თვალყური ვადევნოთ ელისტის ოლიმპიადას.

**ბივი თორელი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

**ბრაზილია – იუგოსლავია 1-1**

***ბრაზილია:*** ანდრე, კაფუ, კლებერი, ანტონიო კარლოსი, ფილიპი (სერჟინიო, 69), ასუნსაო (როჯერი, 82), ვამპეტა, კარიოკა (ჯეკსონი, 84), რივალდო (კრისტიანი, 71), დენილსონი (ალექსი, 82), მიულერი.

***იუგოსლავია:*** კრალი (ზილიჩი, 46), ჯუკიჩი, საკიჩი, ჯოროვიჩი, ნიეგუსი (ნადი, 46), გროზდიჩი, იოკანოვიჩი, სტანკოვიჩი (სტარაჩი, 88), მიატოვიჩი (ჩურჩიჩი, 73), პეტკოვიჩი (ლაზეტიჩი, 75), მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი, 57).

***გააძევეს:*** გროზდიჩი (50)

***გოლები:*** 0-1 მილოშევიჩი (6), 1-1 კარიოკა (17)

**ესპანეთი – რუსეთი 1-0**

***ესპანეთი:*** კანისარესი, სერხი, ალკორტა, იერო, აგილერა (ეჩებერია, 77), დე პედრო (ხემესი, 30), ენგონგა, ლუის ენრიკე (დარდინი, 85), რაული (ალვარესი, 89), კიკო (მორიენტესი, 68), ალკისა.

***რუსეთი:*** ოვჩინიკოვი, მინკო (შმარკო, 46), ვარლამოვი (ერინი, 56), სემაკი (რადიმოვი, 73), ხლესტოვი, მოსტოვოი, ესიპოვი, ონოპკო, კარპინი, ბესჩასნიხი (ტერიოხინი, 60), კირიაკოვი.

***გააძევეს:*** სერხი (26)

***გოლი:*** ალკისა (39)

# „სპარტაკი“ უკვე ჩემპიონია?

## რუსეთის პირველობის მიმოხილვა



«სპარტაკის» ფანები

ამ კითხვას პასუხი შეიძლება ხვალვე გაეცეს, როცა ერთმანეთს შეხვდებიან გათამაშების ლიდერი „სპარტაკი“ და ცსკა. ლიდერი გამარჯვების შემთხვევაში თითქმის ინაღდებს ჩემპიონობას მცირეოდენი ფორმალური მომენტების დაძლევის შემდეგ.

ახლა რუსეთის ჩემპიონატში 25 ტურია ნათამაშევი. პირველობის დამთავრებამდე კი სულ 5 ტური რჩება. მოსკოვის „სპარტაკს“ 50 ქულა აქვს და უახლოეს მდევრებს ცსკასა და ვოლგოგრადის „როტორს“ მთელი 9 ქულით უსწრებს. ნუთუ ეს უზარმაზარი უპირატესობა საკმარისი არ იქნება გამარჯვებისათვის?!

ჯერ გადავხედოთ, ცსკას შემდეგ ვისთან დარჩა სათამაშო ლიდერს. 3 ოქტომბერს იგი „ტორპედო-ლუჟნიკებს“ იღებს, 17 ოქტომბერს ვოლგოგრადში ელის მძიმე მატჩი „როტორთან“, 25 ოქტომბერს მიიღებს იაროსლავლის „შინიკს“ და 30 ოქტომბერს დაამთავრებს პირველობას ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცთან“.

უნდა ითქვას, რომ „სპარტაკი“ ჯერჯერობით მეტოქეებს ყველა კომპონენტში სჭარბობს. მან მოიგო ყველაზე მეტი მატჩი (14), წააგო ყველაზე ნაკლები (3), გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი (56), მიიღო ყველაზე ნაკლები (18). იმის მიუხედავად, რომ დაკარგა წამყვანი ნახევარმცველი ალენიჩევი, ეს თითქოს არც დასტყობია. ჩემპიონატის რომელიღაც მონაკვეთში ესა თუ ის მოთამაშე იღებდა თავის თავზე ლიდერის როლს. ამჯერად ასეთები არიან გუნდის ვეტერანი ნახევარმცველები ციმბალარი და ტიხონოვი. ციმბალარი ამჯერად გვარიანი შედეგიანობითაც გამოირჩევა (გაიტანა 9 გოლი), რაც ადრე მაინცდამაინც არ ახასიათებდა. ცალკეულ მატჩებში ცოტაოდენს ემდუროდნენ მეკარე ფილიმონოვს, რომელიც უცვლელად თამაშობს, გუნდს მაინცდამაინც ვერ შეეწყო ყოფილი ალანელი კანიშჩევი. „სპარტაკს“ გარკვეულ დახმარებას უწევენ ბრაზილიელი ლეგიონერები: თეთრკანიანი ნახევარმცველი სამორონი და ზანგი თავდამსხმელი რობსონი.

მოსკოველ არმიელთა შედეგები პირდაპირ გაოცებას იწვევს. პაველ სადირინი ერუდირებულ და გამოცდილ მწვრთნელად ითვლება, მაგრამ ვერა და ვერ დაამყარა ჯეროვანი კონტაქტი მოთამაშეებთან (ეს მას ადრეც მოსვლია!). ცსკა ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო. საკმარისი გახდა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეციდან“ ოლეგ დოლმატოვის მოწვევა, რომ იგივე შემადგენლობამ მისი ხელმძღვანელობით ზედიზედ 8 გამარჯვება მოიპოვა. თუნდაც ამ უჩვეულო შედეგის გამო იწვევს ხვალინდელი მატჩი მოსკოვში ესოდენ ინტერესს. ახლა არმიელებს გამოკვეთილი ლიდერიც ჰყავთ: ნახევარმცველი სიმაკი და სნაიპერიც: კულიკმა 11 გოლი გაიტანა.

„როტორი“ უკვე რამდენიმე წელია რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. წლეულს მისი შედეგიანი თავდამსხმელი, ეროვნებით გერმანელი ნიდერგაუსი ისრაელში გადაბარგდა და პირობებსაც არ უჩივის, გუნდის ლიდერ ვერეტენიკოვს კი კვლავინდებურად ბევრი გოლი გააქვს. იგი 19 გატანილი გოლით (4 პენალტით) სნაიპერთა ცხრილს სათავეში უდგას. მეორე საპრიზო ადგილისათვის იბრძვის „როტორი“. ასეთივე პრეტენზიები აქვთ მოსკოვის „ლოკომოტივსა“ (40) და ელისტის „ურალანს“ (39). „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი იური სიომინი სისტემატურად აღნიშნავს, რომ მას თავდასხმაში ძირითადად ზაზა ჯანაშიას იმედი აქვს. ზაზა „ლოკომოტივში“ მესამე წელია თამაშობს. პირველ სეზონში მას ვერაფერი შედეგიანობა ჰქონდა, სულ 4 გოლი გაიტანა. შარშან ეს რიცხვი გააორკეცა – 8 გოლის ავტორი გახდა. მეტოქეებმა იციან, ვისგან მოელით მთავარი საფრთხე, ზაზას ძალიან მჭიდროდ ეთამაშებიან (მან წელს 7 გოლი გაიტანა), მაგრამ ამასობაში „ლოკომოტივის“ სხვა ფეხბურთელები ილაღებენ.

ძალიან თავისებური საკადრო პოლიტიკა აქვს ვლადიკავკაზის „ალანიას“. იგი ყოველწლიურად ეთხოვება მოთამაშეების დიდ ჯგუფს და ასევე ბევრ ახალწვეულს იღებს. აი წელსაც მან მთლიანად შეცვალა წინა ხაზი: მოიწვია ბრაზილიელები ბორგესი, ედუ და გიორგი დემეტრაძე. როგორც დემეტრაძემ ჰოლანდიიდან ჩამოსვლისას განაცხადა, იგი როტერდამის „ფეიენოორდში“ ნამდვილად ურიგოდ არ თამაშობდა, მაგრამ წუხდა რომ...

... გოლი ვერ გაჰქონდა. ახლა კი გიორგი შესანიშნავი შედეგიანობით გამოირჩევა. თუმცა რუსეთის ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაება, ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა, რაც ახლა, პირდაპირ ვთქვათ, უჩვეულო მოვლენაა და საერთოდ კი, 12 გოლი გაიტანა (3 პენალტით). ეს ჯერჯერობით ჩემპიონატის მეორე შედეგია. „ალანიაში“ სისტემატურად თამაშობს მცველი მამუკა წერეთელი. გუნდი იბრძვის „უეფას ზონაში“ მოხვედრისთვის, 37 ქულით მეექვსე ადგილზეა, თუმცა მისი მდგომარეობა არ არის იოლი, ამდენივე მოაგროვეს „ზენიტმა“ და „როსტსელმაშმა“.

როცა სეზონი იწყებოდა, „ზენიტის“ მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა განაცხადა, რომ შეეცდებოდა გუნდი, ისევე, როგორც შარშან, მერვე ადგილზე გამოეყვანა, რაც წინასწარ კარგ შედეგად მიაჩნდა. სინამდვილეში კი გუნდი მატჩს მატჩზე იგებდა და მეორე ადგილზე იმყოფებოდა მანამ, სანამ ბიშოვეცი რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად არ დაინიშნა. მართალია, სეზონის ბოლომდე „ზენიტშიც“ დარჩა, მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა, პეტერბურგში მასზე ყველამ გული აიყარა. „ზენიტმა“ ცუდად დაიწყო თამაში, კარგა ხანია მატჩი არ მოუგია, და თანდათან მეშვიდე ადგილამდე „ჩამოქვეითდა. „ორი კურდღლის მდევარიო“..., – ნათქვამია.

იაროსლავლის „შინიკში“ მიწვეულ დავით ყიფიანს, როგორც რუსი კომენტატორები აღნიშნავენ, დემორალიზებული, ყოთელმხრივ მოშლილი გუნდი დახვდა. უდავოდ ქართველი სპეციალისტის დამსახურებად მიაჩნიათ ის ამბავი, რომ გუნდის მომზადების დონე მკვეთრად ამაღლდა, „შინიკი“, რომელიც ჯეროვნად არ არის დაკომპლექტებული, 31 ქულით სატურნირო ცხრილის შუაგულშია და დივიზიონის დატოვება არ ემუქრება.

მიმდინარე ჩემპიონატის ერთი თავისებურება ის არის, რომ ერთი „გასავარდნი“ აუტსაიდერი კარგა ხანია გამოვლინდა: „ტიუმენს“ ვეღარაფერი იხსნის. მას მხოლოდ 7 ქულა აქვს. მაგრამ ვინ იქნება მეორე? კარგა ხანს ეს საფრთხე ემუქრებოდა ისეთ სახელოვან გუნდს, როგორიც მოსკოვის „დინამოა“. კრიტიკულ სიტუაციაში მთავარ მწვრთნელად ადამას გოლოდეცის ნაცვლად დაინიშნა „სპარტაკიდან“ „გადასროლილი“ გიორგი იარცევი. მასაც ძალიან გაუჭირდა, მაგრამ უკანასკნელ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივის“ დამარცხებით რამდენადმე დაშორდა სახიფათო ზონას. საფრთხე, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, აცილებული არ არის. ახლა მოსკოვის „დინამოს“ 28 ქულა აქვს, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ – 26 და კალინინგრადის „ბალტიკას“ – 25. ისე რომ, სატურნირო ცხრილის „კუდში“ დაძაბულობა დიდია.

**ბივი თორელი**



25 წლის სპარტაკელმა ნიკოლაი პისარევმა (მარჯვნივ) მშვენივრად ჩაატარა სეზონი

# მეტალურგთა ქალაქის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა

ქ. რუსთავში დამთავრდა საქართველოს I ჩემპიონატი მოყვარულ მოჭადრაკეთა შორის, რომელიც ამავე ქალაქის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. ჩემპიონატის ჩატარება უზრუნველყვეს ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის რუსთავის განყოფილებამ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ და ქვემო ქართლის რეგიონალურმა ჭადრაკის ფედერაციამ.

სპორტკლუბ „აზოტის“ სპორტკომპლექსში 106 მოჭადრაკე შეუპოვრად იბრძოდა გამარჯვებისათვის. მაგრამ შვეიცარიული სისტემის ცხრა ტურმა ერთპიროვნული გამარჯვებული მაინც ვერ გამოავლინა. შეჯიბრების ფინიშთან ერთბაშად სამი მოჭადრაკე მივიდა 7,5-7,5 ქულით და საპრიზო ადგილები „პროგრესის“ მეთოდით განაწილდა.

პირველი ადგილი წილად ხვდა ქ. თბილისის ჩაის ფაბრიკის მუშას, არტემ თეიმურაზიანს, რომელსაც ჯილდოდ გადაეცა უცხოური წარმოების ფერადი ტელევიზორი. მეორე ადგილზეა ვატიკანის საელჩოს მდივანი გიორგი ცქიტიშვილი. იგი დაჯილდოვდა აგრეთვე უცხოური წარმოების ვიდეომაგნიტოფონით. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ტურნირის მასპინძელი ქ. რუსთავის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე დავით ტიკურიშვილი, ჯილდოდ მიიღო მუსიკალური რადიო-მაგნიტოფონი. ჩემპიონატის მონაწილეები დაჯილდოვდნენ აგრეთვე წამახალისებელი პრიზებით.

მოყვარულთა რესპუბლიკური ჩემპიონატი მომავალში ტრადიციული გახდება.

**რუზველტ მარცვალაშვილი,**
**ჩემპიონატის მონაწილე,**
**საჭადრაკო კომპოზიტორი.**


რევაზ ძოძუაშვილი

# რა მოგველის რიგაში?

**ფეხბურთის** ფედერაციაში მისვლამდე არაოფიციალური წყაროებით, შევიტყვე, რომ ამ დღეებში სამშობლოში მოკლე ხნით ჩამოვა ლატვიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ***რევაზ ძოძუაშვილი.*** ძალაუნებურად კვეტექსტები იკითხება ამ ვიზიტის მოტივებში. სტუმრად ჯგუფის ფავორიტებთან-ნორვეგიელებთან 3 ქულის აღების შემდეგ ლატვიის ფეხბურთის მესვეურებს მადა აღეძრათ და ახლა 10 და 14 ოქტომბერს შესაბამისად ქართველებისა და სლოვენიელების წინააღმდეგ მატჩებში მორიგ გამარჯვებებს გეგმავენ. სწორედ ამ თამაშებისათვის უკეთესად მომზადების მიზნით ძოძუაშვილი თბილისს მოფრინავს: ჯერ ერთი, აქედან წაიღებს საქართველო-ალბანეთის მატჩის ვიდეოკასეტას, თუმცა ამის აუცილებლობას მაინცდამაინც ვერ ვხედავთ — ძოძუაშვილმა მშვენივრად იცის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა შესაძლებლობა, მათი სათამაშო მანერა. მეორეც, იგი, ალბათ, მაქსიმუმ ინფორმაციას „დასტყუებს" ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ვლადიმერ პანოვს, რომელიც, ამას წინათ, ათენში იმყოფებოდა და დაესწრო საბერძნეთი — სლოვენიის მატჩს, ექს-იუგოსლავიელები კი, როგორც ვთქვით, ლატვიელების მომავალი მეტოქეები არიან.

ჩემს ფიქრებს ვლადიმერ პანოვმა ცივი წყალი გადაასხა, მან იუარა ძოძუაშვილის თბილისში მომავალი ვიზიტი და ამ ინფორმაციას მორიგი ჟურნალისტური ფანტაზია უწოდა. მიუხედავად ამისა, სანდო წყაროებმა კვლავ დამიდასტურა თავდაპირველი ინფორმაცია...

და მაინც, რა მოხდება რიგაში, რას ნიშნავს ძოძუაშვილის მიერ ჟურნალისტებისთვის არაერთხელ თქმული სიტყვები — იმედი გქონდეთ, ჩვენ ერთმანეთში მოვრიგდებით. „ჩვენში" ალბათ, რევაზ ძოძუაშვილი და ვლადიმერ გუცაევი იგულისხმება, ხოლო „მორიგება" ფრეს ხომ არ ნიშნავს? თუ ასეა, ხომ შეიძლება ბალტიისპირელთა მწვრთნელისა და ფეხბურთელების ზრახვები ერთმანეთს გაემიჯნოს? ამ შემთხვევაში სკანდალი გარდუვალია. მოინდომებს კი ძოძუაშვილი საკმაოდ სარფიანი სამსახურის დაკარგვას? ჩვენი თანამემამულე ამჟამად სამ გუნდს ხელმძღვანელობს (ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს, „სკონტოს") და არაოფიციალური მონაცემებით თვეში 20 ათას დოლარამდე გასამრჯელოს იღებს.

ახლა ჩვენზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. არ გვეეჭვება, ვლადიმერ გუცაევი ლატვიელებისა და ბერძნების დამარცხებას გეგმავს. თუ ევრო-2000-ის ფინალში გასვლა გადავწყვიტეთ, ბალტიისპირელებთან ფრე არაფრის დიდებით არ უნდა გვაძლევდეს ხელს, ვინაიდან გუნდში უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელებია. მთავარია, ბოლომდე ბრძოლა ვისწავლოთ და მეტოქეებთან არავითარ კომპრომისზე არ წავიდეთ.

ჯემალ ჭიკაშვილი

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## VII ტურის სტატისტიკა

**ტურის** „მოვლენაა" თბილისის „ვიტ-ჯორჯიასა" და ბოლნისის „სიონის" ზედიზედ მეოთხე დამარცხება.

**8 მატჩში** გატანილია 25 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,1 ბურთი). სულ ჩემპიონატის დაწყებიდან გატანილია 156 ბურთი. მასპინძლებმა შეაგდეს 15, სტუმრებმა — 10. პირველ ნახევარში გავიდა 7, მეორეში — 18.

**მინდვრის მასპინძლებმა** მოიგეს 3 მატჩი, ფრედ დამთავრდა 2, ხოლო სტუმრებმა მოიგეს 3.

საერთოდ ჩემპიონატის დაწყებიდან: მასპინძლებმა მოიგეს 25; ფრედ დამთავრდა — 12, სტუმრებმა გაიმარჯვეს 16-ჯერ.

**დაფიქსირებულია** 4 მოგება დიდი ანგარიშით.

ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 16 დიდი ანგარიშით მოგება, აქედან მასპინძლებმა მოიგეს 13 მატჩი, ხოლო სტუმრებმა — 3 („იბერიამ", „მერანი 91" და „დინამომ").

**დაინიშნა** 2 პენალტი, გამოიყენეს ბათუმელმა თ. ტუღუშმა და ლანჩხუთელმა დ. მახარაძემ („გურიამ" ჩემპიონატში 4 პენალტიდან მხოლოდ ეს გაიტანა).

საერთოდ ჩემპიონატში დანიშნული 24 პენალტიდან გატანილია 18.

**ტურში** „ჰეთ-თრიკი" შეასრულა ბათუმელმა თ. ტუღუშმა. „დუბლი" კი შეძლო 4 ფეხბურთელმა.

ჩემპიონატში „დუბლი" შეასრულა 24 მოთამაშემ. 6-მა მოთამაშემ (ტუღუშმა — „ბათუმი", დავითაშვილმა — „მერანი-91", ჩომახიძემ — „იბერია", გოდერძიშვილმა — „ლოკომოტივი", კაიდარაშვილმა — „დილა" და აშვეთიამ — „დინამო") სტუმრად ჩატარებულ მატჩებში.

**ტურში** გააფრთხილეს 19 ფეხბურთელი, გაძევებულია ერთი (გუჩუა).

ყველაზე „უხეში" მატჩი იყო: „ოდიში" „დინამო" — გააფრთხილეს 5 ფეხბურთელი და ერთი გააძევეს.

**ბომბარდირები:**

ლ. ხომერიკი („დინამო", თბ.) — 7 გოლი.
მ. აშვეთია („დინამო", თბ.) — 6
ზ. იონანიძე („ტორპედო") — 6
ა. კაიდარაშვილი („დილა") — 5
თ. ტუღუში („დინამო", ბთ.) — 5
პ.წივწივაძე (კოლხეთი 1913") — 5
ლ. ცქიტიშვილი („დინამო", თბ.) — 4
ა. კაკაშვილი („არსენალი") — 4
პ. მაჭუტაძე („დინამო", ბთ.) — 4
დ. მახარაძე („გურია") — 4
შ. ჩომახიძე („იბერია") — 4
ვ. გიგიაძე („იბერია") — 4.

**თბილისის** „არსენალის" მეკარეს ჩლაიძეს სამი თამაში (270 წთ.) გოლი არ გაუშვია.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.

## ზაზა ჯანაშიამ მოსალოდნელი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო

**საქართველო-ალბანეთის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შეცვლაზე გამოსულმა ზაზა ჯანაშიამ ორი გაფრთხილებითა და შედეგად მინდვრიდან გაძევებით „ისახელა" თავი. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში უეფა ერთი მატჩით „ასვენებს" წესრიგის დამრღვევს. არც ჯანაშიას საკითხის განხილვისას დაუშვიათ გამონაკლისი.**

**ამრიგად, ზაზა ჯანაშია 10 ოქტომბერს, რიგაში, ლატვიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. იგი ეროვნულ გუნდს მხოლოდ 14 ოქტომბერს ათენში შეუერთდება.**

## ... ფოცხვერიამ ოპერაცია გაიკეთა

კიევიდან მიღებული ცნობით, დონეცკის „შახტიორისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრს, თავდამსხმელ ***მიხეილ ფოცხვერიას*** ამ დღეებში გაუკეთეს მენისკის ოპერაცია. ექიმების თქმით, ფეხბურთელი მინდორს მხოლოდ ნოემბრის ბოლოს დაუბრუნდება.

# გივი ჩოხელის თასზე

***გთავაზობთ სფფ-ს რეზერვის განყოფილების უფროსი ინსპექტორის ჯემალ ანთიძის ბლიც-კომენტარს გივი ჩოხელის თასის გათამაშების შესახებ:***


ჯემალ ანთიძე

„უნდა ითქვას, რომ ჭაბუკ ფეხბურთელთა (1981-82 წლებში დაბადებულები) ეს გათამაშება წინა წლებთან შედარებით უფრო ორგანიზებულად დაიწყო. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ადგილობრივი ფედერაციების გარჯის შედეგად ყველა მატჩს, ემსახურება კვალიფიციური მსაჯი, რაც მინიმუმამდე გამორიცხავს რაიმე გაუგებრობას. ალსანიშნავია, რომ აქამდე რეზერვების განყოფილებაში არ შემოსულა არც ერთი გუნდის პროტესტი ან საჩივარი. იმედია, ასე გაგრძელდება ბოლომდე".

აქამდე ჩატარებული მატჩების შედეგები:

**დასავლეთის ზონა.** ოდიში (ზუგდიდი) — ლაზიკა (ზუგდიდი) 2-1, ტორპედო-1 (ქუთაისი) — ტორპედო-2 (ქუთაისი) 1-1, დინამო (ბათუმი) — განათლება (ბათუმი) 0-2, ფინტი (ურეკი) — ჩაქუხა (შემოქმედი) 1-4, მართვე (ქუთაისი) — იმედი (ქუთაისი) 1-1, დინამო (ქუთაისი) — სამგურალი (წყალტუბო) 0-1; ოლიმპია (ხობი) — კოლხეთი (ფოთი) 2-2.

**აღმოსავლეთის ზონა, პირველი ქვეჯგუფი.** დინამო-1 (თბილისი) — დინამო-3 (თბილისი) 7-0, ფოლადი (რუსთავი) — ხალიბი (რუსთავი) 2-2, მამული (რუსთავი) — ივერია (თბილისი) 4-0, კოდა (თბილისი) — მთვარის გლობუსი-2 (თბილისი) 2-1, მერანი (თბილისი) — შევარდენი (თბილისი) 1-0, ივერია (ხაშური) — თელეთი 2-2, შევარდენი — ივერია (6.) 0-0, მთვარის გლობუსი-2 — მერანი 1-3, ივერია (თბ.) — კოდა 0-1, დინამო-1 — ფოლადი 11-0.

**აღმოსავლეთის ზონა, მეორე ქვეჯგუფი,** დინამო-2 (თბილისი) — ორბი (გორი) 4-3, 35-ე სკ-1 (თბილისი) — 35-ესკ ფაისი (თბილისი) 3-4, ლოკომოტივი (თბილისი) — ლომა (თბილისი) 0-3, კახეთი (თელავი) — ალაზანი (გურჯაანი) 6-3, ენერგეტიკი (გარდაბანი) — ავაზა (თბილისი) 1-6, ასს (თბილისი) — მთვარის გლობუსი-1 0-4.

**ლომა (თბილისი) — კახეთი (თელავი) 4-1**

***ლომა:*** **გოგრიჭიანი, მათიაშვილი, ფირცხალაიშვილი, მიშველაძე, ქარაია (ოზმანიანი), იჩქითიძე, ნატროშვილი, გვარუცაძე, დემურიშვილი (ბეჟიაშვილი), ბ. ხაჩიძე (შოთაძე), თ. ხაჩიძე (ჭუმბაძე)**

***კახეთი:*** **ძამუნაშვილი, უთალიშვილი, მჭედლიშვილი, ამისულაშვილი, გოგვაძე, ბაინდურაშვილი, დავითაშვილი, გიგაური, ნუსხელიძე, მანჭარაული, მელოევი.**

***გოლები:*** **1-0 ფირცხალაიშვილი (34), 2-0 გვარუციძე (39), 3-0 ბ. ხაჩიძე (44), 4-0 თ. ხაჩიძე (49), 4-1 მანჭარაული (82).**

***მსაჯი:*** **თამაზ ჩაგელიშვილი (ქარელი).**

კახეთის გუნდის მესვეურებმა მატჩის წინ დაუფარავად გვითხრეს, რომ თბილისში მოსაგებად ჩამოვიდნენ, ვინაიდან მეტოქედ სულ ახალშექმნილი გუნდი ჰყავდათ. მათთვის სამწუხაროდ, მასპინძლებმა უკვე პირველ ტაიმში გაუქარწყლეს იმედები. „ლომას" ჭაბუკი ფეხბურთელები თელაველებს ყველა სათამაშო კომპონენტში სჯობდნენ და, პირველ რიგში, ეს ტაქტიკურ მომზადებაზე ითქმის. თუ სტუმრები ნელ ტემპში, საფუძვლიანად ამზადებდნენ შეტევებს, თბილისელები მინდვრის შუაგულს სწრაფად კვეთავდნენ და გამჭოლი გადაცემით წინ წაწეულ ბიძაშვილ ხაჩიძეებს ამარაგებდნენ სახიფათო გადაცემებით. სწორედ ასეთი ტაქტიკის შედეგად გავიდა 3 გოლი, ხოლო პირველი, მცველმა ფირცხალაიშვილმა კარგად დამუშავებული სტანდარტული მდგომარეობიდან — კუთხურიდან ლამაზი თავურით გაიტანა ბურთი ძამუნაშვილის კარში.

მეორე ტაიმში, როცა ანგარიში უკვე 4-0 იყო, „ლომას" ფეხბურთელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოეშვნენ, რითაც ისარგებლეს სტუმრებმა, თამაშის მიწურულს ხელთ იგდეს უპირატესობა და პრესტიჟის გოლიც გაიტანეს.

## გულიტმა „ეროტიკული" ფეხბურთი მინდა

***თქმა არ უნდა, ლეგენდარული ჰოლანდიელი რუუდ გულიტის მოსვლა „ნიუკასლს" სასიკეთოდ წაადგა. ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონატის VI ტურში ამ გუნდმა აჩვენა სწორედ ის „ეროტიკული" ფეხბურთი, ახალი დამრიგებელი კლუბში მოსვლისთანავე რომ შეჰპირდა ფანებს. სიტყვა „ეროტიკულში" იგი, პირველ ყოვლისა მოთამაშეებისა და გულშემატკივრების ფეხბურთით აღტაცებას გულისხმობს.***

*მტრისას, რა დღე აყარა „ნიუკასლმა" საკუთარი მაყურებლის თვალწინ „ქოვენთრის" (მანამდე გულიტის გუნდმა „საუთჰემპტონიც" დაამარცხა 4-0). მართალია აუტსაიდერი ანგარიშში დაწინაურდა, მაგრამ ეს იყო მასპინძელთა პირველი და უკანასკნელი წარმატება. მერე ალენ შირერმა აიწყვიტა – მან ზედიზედ მეორე დუბლი გააკეთა. საბოლოოდ „ნიუკასლმა" 5-1 გაიმარჯვა (სამწუხაროდ, თემურ ქეცბაიას მსუბუქი ტრავმის გამო არ უთამაშია).*


რუუდ გულიტი

*არადა, მატჩის წინ ინგლისურ გაზეთებში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ალენ შირერის აგენტებს ტონი სტივენსსა და ჯონ ჰოლმსს მოლაპარაკება აქვთ ფეხბურთელის „არსენალისათვის" მიყიდვის თაობაზე. ტრანსფერის თანხაც კი გამოცხადდა – 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი. საბოლოოდ, ამ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვა მეთოფეთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა – შირერის შეძენა აზრადაც არ მოგსვლია და კვლავ ახალგაზრდა ნიკოლა ანელკას იმედად ვართო. მაგრამ, როგორც ეტყობა, „ნიუკასლი" მაინც შეელევა ფეხბურთელს. საუბარია სტეფან გივარშზე – საფრანგეთის ორი უკანასკნელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერზე. ფრანგმა ფორვარდმა ამ დღეებში ინტერვიუ მისცა „ეკიპს": „ნუ დაგავიწყდებათ, მსოფლიოს ჩემპიონი ვარ და „ნიუკასლში" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მეკადრება. დალგლიში რომ მიწვევდა, დამპირდა, რომ თავდასხმაში შირერს შემიწყვილებდა. გულიტს, ვატყობ, სხვა სათამაშო ტაქტიკა იზიდავს. ამიტომ სჯობს კლუბმა ტრანსფერზე დამაყენოს". იტყობინებიან, რომ გივარშის შეძენა შოტლანდიურ „სელტიკს" სურს, თუმცა თავად ფეხბურთელს მშობლიური „ოსერი" ან „ლანსი" ურჩევნია.*

*ტურის ცენტრალური მატჩი, ცხადია, „არსენალი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" იყო. ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მეთოფეებმა კვლავ დაამარცხეს ჩრდილოელები, ამჯერად ანგარიშით 3-0.*

*გასულ უქმეებზე დიდი გარჯა მოუწია ლიდერს „ასტონ ვილას", რომელმაც სტუმრად „ლიდსთან" რის ვაი-ნაჩრობით გაახერხა ფრე 0-0.*

*6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: „ასტონ ვილა" – 14 ქულა, „დერბი ქაუნთი" – 12, „ლივერპული" – 11.*

### სად ნაკრების მწვრთნელობა, სად მეორე დივიზიონი!

რუსეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბორის იგნატიევი მოსკოვის კლუბ „ტორპედო-ზილ"-ის ხელმძღვანელი გახდა. ეს კლუბი ახლა მეორე დივიზიონის (მესამე დონეა უმაღლესი და პირველი დივიზიონების შემდეგ!) დასავლეთი ზონის ლიდერია, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრები როგორღაც მარცხიანად წარმართა და მწვრთნელი სერგეი პეტრენკოც დაითხოვეს.

### მარადონას არ ივიწყებენ

დიეგო მარადონამ მიიღო წერილი წინადადებით მექსიკის ცნობილ კლუბ „უნამის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. ამას არგენტინელის ენთუზიაზმი არ გამოუწვევია, რადგან ჯერ სურს თამაში და არა მწვრთნელობა. დიეგო ძალიან არის დაინტერესებული ითამაშოს ინგლისის პრემიერლიგაში, მაგრამ 37 წლის ფეხბურთელს იქ არავინ იწვევს.

უფრო რეალურად ჩანს სხვა შესაძლებლობა: მარადონას მიწვევა აქვს ესპანეთის მეორე ლიგის კლუბ „ბადახოსისაგან", ამდენად, მიიღებს ამ წინადადებას?

### ომარ თეთრაძე იტალიურს ასწავლის ალენიჩევს

ომარ თეთრაძე, რომელიც ტრავმებისაგან განიკურნა, „რომაში" ახლად გადასულ დმიტრი ალენიჩევს იტალიურს ასწავლის.

როგორც იტალიური კომენტატორები მიიჩნევენ, ამ ქვეყანაში ვერც ერთმა რუსმა ფეხბურთელმა: ზავაროვმა, მიხაილიჩენკომ, შალიმოვმა, კანჩელსკისმა, გნებავთ, კოლივანოვმა და სიმუტენკოვმა, რომლებიც დღემდე თამაშობენ, ვერაფერი უჩვენა. ალენიჩევი კი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და სწრაფად შეეწყო „რომას". მას ფანტასტიკური სისწრაფე და დრიბლინგი აქვს — ამბობს მისი პარტნიორი ფრანჩესკო ტოტი და წარსულში განთქმულ ოსტატ ბრუნო კონტის ადარებს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „ანდერლეხტის" მარცხს ვინ გაპატიებს

ბრიუსელის „ანდერლეხტს" ბელგიაში არა მარტო ყველაზე დიდი სახელი აქვს, უმდიდრესი კლუბიცაა. ამ პოპულარულ კოლექტივს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, თუმცა ახლა ძალიან დაჩიავდა და ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოდან მეოთხე ადგილზეა.

ჯოხი, როგორც ყოველთვის, მწვრთნელზე გადატყდა. წარსულში განთქმულ ფეხბურთელს, ახლა კი ცნობილ მწვრთნელ არი ჰაანს (ჰოლანდია) „ანდერლეხტის" დატოვება მოუხდა.



## სასწაული არ მოხდა

**კორაჩის თასი. შესარჩევი წრის საპასუხო მატჩი**

**შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) — აზოტი (რუსთავი, საქართველო) 110:87**

*შახტიორი:* ტკაჩი (29), ზავალინი (27), ბოტიჩევი (7), გერასიმოვი, ვასილჩენკო (18), შლეევი (17), კობინოსი (4), მალოშტანი (3), გურტავოი (3), იშჩუკი (2).
*აზოტი:* გოგობერიშვილი (28), ჯაფარიძე (21), ქლენტი (14), ბაბიაშვილი (11), გაბისონია (9), ბერუაშვილი (4), წიკლაური.
*მსაჯები:* ფ. სოილემეზოღლუ (თურქეთი), ნ. ნიდელჩევი (ბულგარეთი).

პირდაპირ ვაღიაროთ, საშინაო მატჩში მარცხის შემდეგ, ცოტას თუ ვინმეს სჯეროდა, რომ რუსთაველები განმეორებით შეხვედრაში წარმატებას მიაღწევდნენ. თავი და თავი ყველაფრისა კი „აზოტის" მოკლე სათადარიგოთა სკამია, ძნელია მთელი მატჩის წარმართვა მხოლოდ 6-7 კალათბურთელით.

დონეცკში სენსაცია არ მომხდარა. „შახტიორმა" ქართული გუნდი კალათბურთის ყველა კომპონენტში დაჩაგრა — ფიზიკურად, ტაქტიკურად, ტექნიკურად.

უკრაინული გუნდი კორაჩის თასის მომდევნო ეტაპზე იასპარეზებს, „აზოტს" კი ამჯერად ნუგეშად მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში თამაში რჩება.

## ჰანს ფერელი: თბილისში ამაღლებული განწყობილებით მოვდივართ

უეფას თასზე, 1/32 ფინალის პირველ მატჩში თბილისის „დინამოზე" ტილბურგის „ვილემ-II"-ის დიდი ანგარიშით ძლევამ ჰოლანდიურ კლუბში ამაღლებული განწყობილება შექმნა. ადგილობრივი ჩემპიონატის VI ტურში გუნდმა შინ „კამბურს" სძლია 2-1 (გოლები ტილბურგელთა მხრიდან გაიტანეს რამზიმ და ნეერინგმა). გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით „ვილემ-II"-ის მთავარი მწვრთნელის ასისტენტს ჰანს ფერელს, რომელმაც გვითხრა, რომ ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო აამაღლა გუნდის ფეხბურთელთა განწყობილება. „ერთი სული გვაქვს, როდის ჩამოვალთ თბილისში და „დინამოს" შევერკინებით. ცხადია, პირველი მატჩის შემდეგ სოლიდური უპირატესობა გვაქვს და სათამაშო ტაქტიკასაც აქედან გამომდინარე, ავაწყობთ. კმაყოფილი დავრჩებით, თუ მატჩი ფრედ დამთავრდა. ამით, ვფიქრობთ, გულს არ დავწყვეტთ იმ მრავალრიცხოვან ფანებს, რომლებიც ჩვენთან ერთად გამოემგზავრებიან თბილისში".

## 33-ე საჭადრაკო ოლიმპიადა

(პირველი გვერდიდან)

რხების საწინააღმდეგო ინფორმაციებს, თითქოს ელისტაში ყველაფერი არ არის რიგიანადო, ჰორი უწოდა.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება ელისტას. ქალები — მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ნინო ხურციძე. კაპიტანი ნონა გაფრინდაშვილია. ვაჟები — გია გიორგაძე, ლაშა ჯანჯღავა, მიხეილ სუპატაშვილი და გია ბაღათუროვი.

ვაჟებს ცნობილი დიდოსტატი ქალი ნინო გურიელი უთავკაცებს, მთლიანად ქართულ დელეგაციას კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით გურგენიძე.

ზურაბ აზმაიფარაშვილიცა და თავად მოჭადრაკენიც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ელისტაში წარმატებულ თამაშს გეგმავენ. ვაჟები ათეულში მოხვედრას ვარაუდობენ, ქალთაგან კი ყველა ჩემპიონობას ელის. მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელმა საქართველოს ქალთა გუნდმა წინა 3 ოლიმპიადა დამაჯერებლად მოიგო. ქალთა ძირითადი კონკურენტები რუსეთის, ჩინეთისა და ინგლისის ნაკრებები იქნებიან. ამ ელიტას ბოლო მომენტში გამოაკლდა უნგრეთის გუნდი, რადგან დები პოლგარები ყალმუხეთში არ იასპარეზებენ. თურმე, იუდით პოლგარს აუხირებია, ოლიმპიადაზე მაშინ ვითამაშებ, თუ ვაჟთა გუნდში I დაფაზე დამითმობთ ადგილსო. უნგრეთის ჭადრაკის ფედერაციას კი ეს პატივი სხვისთვის, ახალგაზრდა უნგრელი მოჭადრაკისთვის, გვარად ალმასისთვის ურგია, რომელიც კონკურენტ ქალზე უკეთეს ფორმაში ყოფილა. რაკი იუდითს უარი უთქვამს ოლიმპიადაზე გამოსვლაზე, დანარჩენ პოლგარებს მხარი აუბამთ შუათანა დისთვის — ჟუჟა და სოფი პოლგარებმაც იუარეს უნგრეთის ქალთა გუნდში თამაშზე.

სათუოა, აგრეთვე რუსეთის გუნდში ალისა გალიამოვას ასპარეზობაც. ეს საკითხი უშუალოდ ოლიმპიადის დაწყებამდე, ბოლო მომენტში გაირკვევა.

ფიდესთან დაპირისპირებისა და კონფლიქტების გამო ოლიმპიადა უკასპაროვოდ და უკარპოვოდ ჩატარდება. მსოფლიოს ჩემპიონები, სხვადასხვაგვარ პრეტენზიებს უყენებენ კირსან ილიუმჟინოვს და არ აპირებენ მის სამშობლოში თამაშს.

ჩვენი ვაჟების მთავარ კონკურენტებად ინგლისის, ამერიკისა და სომხეთის გუნდებს მიიჩნევენ. რუსეთის ნაკრები ხომ თავისთავად იგულისხმება. მიუხედავად იმისა, რომ რუსთა გუნდს 3-4 წამყვანი მოჭადრაკე აკლდება, მაინც.

ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებად ითვლებიან რუსი ვაჟები.

და ბოლოს, რამდენიმე თვის წინათ ელისტაში ნაავარიევი მაია ჩიბურდანიძე ჯანმრთელადაა, მონაკოს ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და ელისტაშიც იმედიანად მიემგზავრება.

გია გიორგაძე

## კვირის ფოტოკადრი



## ჯაკობია ორ ფრონტზე იბრძვის

საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები მალე უნგრეთს გაემგზავრება და 12 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ბულგარეთის გუნდს შეხვდება, ორი დღის შემდეგ კი მასპინძელთა ნაკრებს ეთამაშება. ქართველ ჭაბუკებს ამ მატჩებში უხელმძღვანელებს ვახტანგ კოპალეიშვილი. მისი თანაშემწის თენგიზ კაციას თქმით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ბელგიის „სტანდარდის" ფორვარდი ლაშა ჯაკობია ჩვენს გუნდში გამოვა. მასთან ერთად უნგრეთს გაემგზავრებიან ბათიაშვილი, მენთეშაშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, კოროლიძე, საჯაია, გაგუა, აფხაზავა. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა კი ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ დადგინდება — ჭაბუკები 29 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ითამაშებენ თსუ-სთან და „ლოკომოტივთან".

როგორც ვიტყობინებოდით, ამას წინათ, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ ფინანსური პრობლემები მოიმიზეზა (სფფ-ს საფინანსო ანგარიშს ყადაღა დაადეს) და ჭაბუკთა ნაკრებების ევროპის პირველობაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ დააყენა. ამ დღეებში ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ყადაღა 1 ნოემბრამდე მოიხსნა და ამიტომ ქართველი ჭაბუკები უნგრეთს უპრობლემოდ გაემგზავრებიან.

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — მოსკოვში დასაევი ფეხბურთიდან გააცილეს

მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე საინტერესო საბენეფისო მატჩი გაიმართა — ფეხბურთიდან გააცილეს 41 წელს მიტანებული ცნობილი მეკარე რინატ დასაევი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთის კლუბების ნაკრები და 15-20 წლის წინანდელი საბჭოთა კავშირის ნაკრები. ვეტერანების გუნდის ხელმძღვანელმა ნიკიტა სიმონიანმა ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად სამ ქართველს უხმო — ალექსანდრე ჩივაძეს, რამაზ შენგელიასა და თამაზ სულაქველიძეს. მათ გვერდით მინდორზე ვიხილეთ ვაგიზ ხიდიატულინი, ოლეგ კუზნეცოვი, ანატოლი დემიანენკო, ალექსეი მიხაილიჩენკო, სერგეი როდიონოვი, ვასილი რაცი, პაველ იაკოვენკო, ივან იარემჩუკი, გენადი ლიტოვჩენკო, იური გავრილოვი, ალექსეი ზავაროვი, ლეონიდ ბურიაკი, იგორ ბელანოვი, ოლეგ პროტასოვი, ფიოდორ ჩერენკოვი, ოლეგ ბლოხინი, ხორენ ოჰანესიანი. პირველ ტაიმში ამ გუნდის კარს იცავდა თავად დასაევი, მეორეში — ჩანოვი. სხვათა შორის, НТВ-თი ტელერეპორტაჟი მიჰყავდა ჩვენს სახელოვან კომენტატორს კოტე მახარაძეს.

სამწუხაროდ, რუსეთელებს, ეტყობა, ბუნებაში არა აქვთ უფროსი თაობის პატივისცემა — კლუბების ნაკრებმა მატჩი მოიგო ანგარიშით 3-1. ნეტავ რა მოხდებოდა, რომ ამ დღეს დასაევისთვის ზეიმი არ ჩაემწარებინათ?





## „აუცილებლად ჰოლანდიელი უნდა იყოს"

მას შემდეგ, რაც ბორა მილუტინოვიჩი ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან განთავისუფლდა, ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურები სულ იმას ამტკიცებდნენ, რომ მომდევნო ხელმძღვანელი აუცილებლად ჰოლანდიელი უნდა იყოს.

რატომ?

ნიგერიელების აზრით მათი ყველა მიღწევა სწორედ ჰოლანდიელ მწვრთნელებთანაა დაკავშირებული; 1994 წელს კლემენს ვესტერჰოფმა პირველად გაიყვანა „არწივები" მსოფლიოს პირველობის ფინალში, ხოლო ორი წლის შემდეგ ატლანტაში იოპ ბონფრერემ მათ ოქროს მედლები მოუტანა.

დაასახელეს 5 ჰოლანდიელი: რუუდ გულიტი, ჰენრიკ ტენ კატე, ვიმ რეისბერგენი, ად დე მოსი და ტეის ლიბრეხტი. უპირატესობა ლიბრეხტს მიენიჭა.

**მსაჯი თავის თავზე, მსაჯობაზე, მეგობრებზე**

# საფეხბურთო დიპლომატია კარგი რამ არის

ფეხბურთელთა საოჯახო დინასტიებზე პრესაში ხშირად იწერება, აი მსაჯთა შთამომავლობაზე კი — იშვიათად. თანამემამულე ვეტერან არბიტრებს ხშირად უთქვამთ — მსაჯობა ისეთი უმადური, დაუფასებელი, საქართველოს პირობებში კი რისკიანი პროფესიაა, რომ ნამდვილად შვილთმოძულე უნდა იყო, რომ შენი ძე ამ ხელობას აზიარო. იშვიათი გამონაკლისია ვეტერანი არბიტრი **ვლადიმერ შილაკაძე,** რომელიც, 70 წელს მიტანებული, დღესაც ერთგულად ემსახურება ქართულ ფეხბურთს, ეგაა მხოლოდ, სხვა რანგში — ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში სფფ-ს დელეგატის ჰაპანი „ადევს". მისი მთავარი მოვალეობაა მსაჯთა კვალიფიკაციის შეფასება, ერთ-ერთი იმათგანი კი, მისი ვაჟიშვილი ალექსანდრეა, რომელსაც დღეს ქვეყნის რჩეულ არბიტრებს შორის მოიხსენიებენ. მამამისთან საუბარიც სწორედ ალექსანდრეთი დავიწყეთ.

— საშა ხშირად ესწრებოდა მატჩებს, მე რომ ვმსაჯობდი. თამაშის შემდეგ დიდხანს ვკამათობდით, ამა თუ იმ ეპიზოდზე, შვილი ყოველთვის მკაცრად აფასებდა ჩემს მოქმედებას.

● ***ბატონო ვლადიმერ, გამიგია, სანამ მსაჯი გახდებოდით, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდათ.***

— სადაც კი მისწავლია — საშუალო სკოლაში, კულაშის ზოოვეტერინარულ და მსუბუქი მრეწველობის საფეიქრო ტექნიკუმების გუნდებში, ქობულეთის „კოლმეურნეში" — ყველგან თამაშში სული ჩამიქსოვია.

● ***მსაჯობა როდისღა დაიწყეთ?***

— აქტიურ სპორტს რომ თავი დავანებე, უფეხბუროთოდ მაინც ვერ გავძელი, განცხადებით მივმართე ქალაქის ფეხბურთის სამმართველოს მსაჯთა მომზადების კურსებზე ჩარიცხვის თაობაზე. ჩემთან ერთად ეს კურსები გაიარეს ო. უშვერიძემ, ნ. ცაგარეიშვილმა, ო. მამუკელაშვილმა, ან. ფეიქრიშვილმა და სხვ. ახლა არ იკითხავთ, ვინ გვასწავლიდა? უბადლო სპეციალისტები — კონსტანტინე კრავჩენკო, სოკრატ პანდელოვი, ოტია ჟორდანია. 1955 წლიდან უკვე ქალაქისა და რესპუბლიკის პირველობის მატჩებს ვემსახურებოდით, ოღონდ, რასაკვირველია, ჯერ გამოცდილი სპეციალისტების ბრიგადაში გვრთავდნენ. ისინიც — დუკა რამიშვილი, გურამ აკობაშვილი, პავლე გავრილოვი, კარლო ყრუაშვილი, გიორგი ბაქანიძე, ზურაბ თოდუა, და სხვები, ყველანაირად მხარში გვედგნენ.

● ***მაშინ რკინიგზაში მუშაობდით, მსაჯობას როდისღა ასწრებდით?***

— რკინიგზაში, ელმავლის მემანქანედ 17 წელი ვიმუშავე, მატჩებს კი მაშინ ვემსახურებოდი, როცა სამსახურიდან თავს დავაღწევდი. მიუხედავად ამისა, მსაჯობის ანბანს სწრაფად დავეუფლე და მალე მკაცრი და ობიექტური არბიტრის სახელი მოვიპოვე. 1964-ში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მომანიჭეს.

● ***მახსოვს, აქტიურად მოღვაწეობდით ქალაქის მსაჯთა კოლეგიაშიც.***

— მაშინ კოლეგიას უმწიკვლო ო. ჟორდანია ხელმძღვანელობდა, მე კი მისი მოადგილე ვიყავი. საათივით გვქონდა საქმე აწყობილი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ახალგაზრდა, დამწყებ მსაჯებთან მუშაობას. ხშირად ვესწრებოდით მატჩებზე და შემდეგ დაწვრილებით ვაანალიზებდით.

● ***ალექსანდრე შილაკაძე ერთადერთი მსაჯი არაა, რომელიც თქვენს ხელში გაიზარდა, მახსოვს მეურვეობდით ტყიბულელ დოლონაძეს, გორელ აბუთიძეს.***

— და არა მარტო მათ. ვინ იცის, რამდენისთვის შემიწყვია ხელი. გუშინდელივით მახსოვს თუნდაც ათი წლის წინანდელი ამბავი — ვეტერან მსაჯისა და მეცენატის გურამ გაბისკირიას დახმარებით გურამ გვანცელაძესთან ერთად ლესელიძეში 30 ახალგაზრდა მოვამზადეთ. ბევრი მათგანი, თუნდაც ფიფას მსაჯები ავიღოთ — გულრიფშელი გოჩა ცირდავა, სოხუმელი ავთანდილ სამხარაძე, თბილისელი ზურაბ დოლიძე დღესაც ემსახურება ქართულ ფეხბურთს.

● ***როცა მსაჯობის ყავლი გაგივიდათ, 1980 წლიდან მსაჯ-ინსპექტორად მოგვევლინეთ.***

— ამ დროიდან ვემსახურებოდი არა მხოლოდ რესპუბლიკურ პირველობას, ხშირად სსრკ ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორობაც მიწევდა. ახლა კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ არასდროს შემირცხვენია ქართული სამსაჯო სკოლის სახელი.

● ***საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, ომში, გაწუკითხაობის ხანაში, მსაჯებს ყოველთვის მხსნელად ევლინებოდით — ვალოდია ბიძია ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებსო. 70 წელს მიტანებული ადამიანი როგორ ახერხებდით ეგ ზალტირებულ მასასთან საერთო ენის გამოძებნას?***

— მრავალწლიან სამსაჯო პრაქტიკას უნდა ვუმადლოდე — ზოგს ტკბილი სიტყვა უნდა შეაწიო, ზოგს დაუყვავო, ისე, მე რომ მკითხო, საფეხბურთო დიპლომატია კარგი რამ არის.

ესაუბრა
ჯემალ ჭიპაშვილი

## ხუთი რგოლის გარშემო

# სახელოვანი ოლიმპიელები – თამაშების სამშობლოში

ოლიმპიური თამაშების I საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა ამ დღეებში ძველმა ელადამ. მასში მონაწილეობისათვის საბერძნეთის ეოკ-მა მიიწვია ოლიმპიურ ჩემპიონთა 300-კაციანი ჯგუფი, რომელშიც არიან საქართველოს სახელოვანი სპორტსმენებიც, თამაშების სამგზის ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, რომელიც ავსტრალიაში მოღვაწეობს და იქიდან ჩავიდა ოლიმპიაში, აგრეთვე რომის XVII თამაშებში სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული რობერტ შავლაყაძე, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძე და ბარსელონის „ტატამის გმირი" დავით ხახალეიშვილი.

„ეს იყო ბრწყინვალე შოუ საუკუნის უძლიერესთა მონაწილეობით" – ასეთი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ კონგრესს, რომლის შემდეგ ორგანიზატორებმა თავიანთ მიწაზე ყველა მიწვეულ ოლიმპიელს ორკვირიანი დასვენებისა და ურთიერთდაახლოების საშუალება მისცეს.

## პროფესიული კრივის სამყაროში

# ... შანსი? – 8–1–თან

ამ შეხვედრისადმი მთელს ამერიკაში, და არა მარტო იქ, ისეთივე ინტერესს იჩენენ, როგორც, ვთქვათ, ჰოლიფილდ-ტაისონის მატჩისადმი. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ხვალ საღამოს ლას-ვეგასში ვბც-ს (მსოფლიო მოკრივეთა კავშირის) ვერსიით უძლიერესის სახელისათვის ერთმანეთს ხვდებიან მძიმეწონოსნები კი არა, ქვესაშუალო წონის მოკრივეები – ამ წოდების მფლობელი ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოია და მექსიკელი ხულიო სესარ ჩავესი, აჟიოტაჟი თანდათან კულმინაციას აღწევს. ჩემპიონობისათვის ბრძოლას სხვა, არანაკლებ მაინტრიგებელი დატვირთვაც აქვს – ამ მატჩს ანგარიშსწორების შეხვედრად ნათლავენ. საქმე ისაა, რომ ორი წლის წინათ, იმავე ლასვეგასში ჩემპიონობისათვის გადამწყვეტი ბრძოლის მეოთხე რაუნდში ამერიკელმა მოკრივემ წარბი გაუხეთქა მეტოქეს, ბრძოლა შეწყდა და გამარჯვებულად მასპინძელი გამოაცხადეს, მაგრამ დღემდე უძლეველი ჩავესი კვლავ არ სცნობს თავს დამარცხებულად, წარბი მეტოქემ კი არა, ვაჟიშვილმა დამიზიანა, რომელსაც ერთი კვირის წინათ ხელში ვათამაშებდიო...


ოსკარ დე ლა ჰოია

– იგი რომ ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილიყო, – ამბობს დე ლა ჰოია, – თავის მართლებას კი არ დაიწყებდა, არამედ აღიარებდა ჩემს სიძლიერეს. მაგრამ, ახლა მას კიდევ ვაძლევ შანსს, ორი წელიწადია ამ ბრძოლაზე ვოცნებობ.

თვით ოსკარისათვის – უპირატესობა დაუმტკიცოს ჩავესს, ამ ბრძოლის ერთადერთი სტიმული არაა – გამარჯვებული ცხრა მილიონ დოლარს ჩაიჩხრიალებს ჯიბეში. მით უმეტეს, მექსიკელი ამ ხნის განმავლობაში მაინცდამაინც არ მიილტვის რევანშისაკენ, რასაც კორესპონდენტები იმით ხსნიან, რომ იგი „ბეწვია" ჩემპიონის თვალში, თუმცა ესაა მისი ბოლო შესაძლებლობა, რომ კრივის სამყაროს შეახსენოს თავი. წარმოიდგინეთ, არც ბევრს სჯერა, რომ 36 წლის ჩავესს უნარი შესწევს სძლიოს 25 წლის მსოფლიო ჩემპიონს. თუ 1996 წლის 7 ივნისს მისი შანსი ორი – ერთთან ფასდებოდა, ახლა რვა – ერთთანაა...

## სპორტი და ცნობილი ადამიანები

# სილვესტრ სტალონეს გატაცება



კიდევ რაზე უნდა ოცნებობდეს 53 წლის მამაკაცი ამქვეყნად რომელმაც სახელიც მოიხვეჭა და ფულიც, არც ქალები დაუკლია და არც სხვა მიწიერი სიამტკბილობა? სტალონეს მართლაც ყველაფერი აქვს და თუკი სხვა რამეს მოისურვებს, ისიც ექნება. მის ქონებაში, სხვათა შორის, ირიცხება 10 მილიონიანი რანჩო სოფი ლორენისა და მაიკლ დუგლასის მეზობლად. სტალონეს იქვე აქვს დიდებული საჯინიბო, სადაც 25 ოთხფეხა მეგობარი ნებივრობს. და მაინც თურმე ამ კინოვარსკვლავს ბავშვობისდროინდელი ოცნება და მარად დაუოკებელი ჟინი ჰქონია – ესაა ცხენით ბურთის თამაში ე.წ. პოლო, ანუ ჩვენებურად ცხენბურთი. ეს ლეგენდარული მსახიობი თურმე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში ხშირად ჩადის მხოლოდ ერთი მიზნით – ითამაშოს პოლო.

– ჩვენი ოჯახი ჩემს ბავშვობაში ვაშინგტონის შემოგარენში ცხოვრობდა და ზოგჯერ მამაჩემი კაცებთან ერთად თამაშობდა პოლოს. 5 წლისას ამისრულდა ოცნება და ცხენზე მეც შევჯექი. მაშინ პირველად გავკარი ბურთს ყვანჯოის იყო და ის. იმ დღიდან სერიოზულად მოვკიდე ხელი ამ თამაშს და კინო რომ არა, მთელ ცხოვრებას დიდი სიამოვნებით გავატარებდი ცხენთან და მეგობრებთან ერთად, – იგონებს ახლა სტალონე.

## რა ხდება ქვეყანაზე

### ყოფილი პრემიერი ფარიკაობის ტრფიალია

მოსკოვში სტუმრად მყოფმა იაპონიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რიუტარო ხასიმოტომ საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზს მიაშურა და მოფარიკავეთა ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა.

რიუტარო ხასიმოტოს კენდოში მაღალი კვალიფიკაცია აქვს.

### ფრანს პრესი... პრეზერვატივების შესახებ

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილე უფასოდ მიიღებს დღეში სამ პრეზერვატივს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რახან ოლიმპიადა 17 დღეს გრძელდება, თითოეულ სპორტსმენს 51 პრეზერვატივი მოუწევს.

სპიდის საფრთხე ხომ კვლავინდებურად დიდია...

### მიდიან...

გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" წერს უცხოეთში გადაბარგებული რუსი სპორტსმენების შესახებ.

რუსეთის მძლეოსანთა ყოფილი ლიდერი ლიუდმილა ნაროჟილენკო კარგა ხანია შვედზე გათხოვდა და ახლა ენკვისტის გვარს ატარებს. ამ გვარით იგი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა და მსოფლიო რეკორდსმენიც, ქმარი კი, მისი მენეჯერი, შემოსავალს ითვლის.

ვალერი ბურემ, განთქმული პაველ ბურეს უმცროსმა ძმამ, გაილაღა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი ცოლი ამერიკელი მსახიობი ქალია, მართალია, დიდ წარმატებებს დღემდე ვერ მიაღწია.

მწვრთნელმა გენადი ტურეცკიმ მიატოვა ცოლი და ქალიშვილი, რომლებიც ლოს-ანჯელესში ცხოვრობენ, დასახლდა ავსტრალიაში, დიდ თანხას იღებს, როგორც ამ ქვეყნის მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი. ამავე დროს იგი სპრინტერებსაც ამეცადინებს.

ჩოგბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ანდრეი ჩერნოკოვი პარიზელ ქალზე დაქორწინდა და ახლა კომერციულ ტურნირებში თუ თამაშობს.

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

ამას წინათ ცნობილმა დიდოსტატმა ლეონიდ შამკოვიჩმა, რომელიც ერთხანს თბილისში ცხოვრობდა, სხვადასხვა დროს კი რუსეთის, აშშ-ს, ისრაელისა და კანადის ჩემპიონი იყო, ვრცელი ინტერვიუ მისცა მოსკოვის „64 – შახმატნოე ობოზრენიეს" კორესპონდენტს.

სხვათა შორის, 75 წლის დიდოსტატი შეეხო მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანისა და ვიქტორ კორჩნოის რთულ ურთიერთობასაც.

აი, რა თქვა შამკოვიჩმა:

– ყველამ იცის, რომ ტიგრანს კარგი ურთიერთობა არა ჰქონდა ვიქტორ კორჩნოისთან. მაგრამ ერთხელ, მოულოდნელად, კორჩნოი ლანჩზე მიიპატიჟა. ვიქტორი ამ მიპატიჟებამ მეტად გააოცა, მაგრამ უარი არ უთქვამს. როგორც მეტად ეჭვიანი ადამიანი, იგი რაღაც ეშმაკობას ელოდა: შეიძლება, პეტროსიანს მისი მოწამვლა სურს? სუფრაზე ათასნაირი საჭმელი იყო, ამასთან, კორჩნოის ძალიან შიოდა. მაგრამ იგი არაფერს არ მისძალებია, პეტროსიანს ფხიზლად ადევნებდა თვალს და მხოლოდ იმ თეფშებიდან იღებდა საჭმელს, საიდანაც თვითი მასპინძელი.

ამ პუბლიკაციამ კორჩნოი ძალიან გააღიზიანა და ჟურნალ „64"-ის მთავარ რედაქტორს წერილი მისწერა, რომელიც გამოქვეყნდა კიდეც. აი რამდენიმე ნაწყვეტი წერილიდან.

„უპირველეს ყოვლისა, პოსტულატის შესახებ: „მკვდრებზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი". აქაოდა, სხვანაირად არაეთიკურია, ისინი, მკვდრები ხომ თავს ვერ დაიცავენ..."

დასაწყისში კორჩნოი წერს, რომ არ ახსოვს ის შემთხვევა, რომელიც „გულუბრყვილო მოხუცმა დიდოსტატმა (ე.ი. შაკოვიჩმა)" მოიყვანა. მაგრამ მონათხრობი ჩემს სტილს არ ეწინააღმდეგება.

შემდეგ კორჩნოი განაგრძობს: „1976 წლის აპრილი. თბილისში ტარდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა სპორტულ საზოგადოებათა შორის. მე ვხელმძღვანელობ საზოგადოება „ტრუდის" გუნდს. ჩვენი სათადარიგო მოთამაშეა ოსტატი ა. ჩუდინოვსკიხი. ვთხოვე თამაშის დაწყებიდან ორსაათნახევრის შემდეგ ჩემთვის ჩაი მოეტანა, ყოველდღე. 10 წლის წინათ კი აი რა ისტორია მომიყვა.

ჩუდინოვსკიხი ჩაის მოსატანად ბუფეტში შევიდა. იქ პეტროსიანი დახვდა თავის გულშემატკივრებთან ერთად. მებუფეტემ იცნო მოსული და პეტროსიანს რამდენიმე სიტყვა უთხრა ქართულად, რომელიც პეტროსიანმა ძალიან კარგად იცოდა. ბოლოს მებუფეტემ თერმოსში ჩაასხა ჩაი და დამსწრეთა სიცილ-ხარხარში ჩუდინოვსკიხმა ოთახი დატოვა. კორიდორში იგი „ტრუდის" გუნდის ორ ქალიშვილს შეხვდა: საუნინასა და ალიოხინას: „ჩაი მიგაქვს. ჩვენ სწორედ ახლა გვინდოდა დალევა. კორჩნოისათვის? არა უშავს, მოიცდის. გამოართვეს თერმოსი და წავიდნენ. ჩუდინოვსკიხი ხელახლა წავიდა ბუფეტში ჩაისთვის. რაც შეეხება საუნინასა და ალიოხინას, მათ იმ დღეს ვერ შეძლეს თავიანთი პარტიების ნორმალურად თამაში – კუჭი აეშალათ.

### იგი მხოლოდ 38 წლისა იყო

სპორტულ სამყაროს სამწუხარო ამბავი მოედო – ძალიან ახალგაზრდა, 38 წლისა ამ ქვეყნიდან წავიდა მოსიყვარულე მეუღლე და პატარა ქალიშვილის დედა, სეულის 1988 წლის ოლიმპიადის ტრიუმფატორი, საუკუნის ალბათ ყველაზე გამორჩეული სპრინტერი **ფლორენს გრიფიტ ჯოინერი.** სეულში მის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდები 100 და 200 მეტრზე რბენაში (10,49 და 21,34 წამი) დღემდე ვერავინ გააუმჯობესა.

ჯოინერს რომ ვიხსენებთ, თვალწინ ყოველთვის ლამაზი აღნაგობის ხელებაწვდილი სპორტსმენი ქალი გვახსენდება, რომელიც ფინიშის ხაზთან „საჰაერო" კოცნას უგზავნიდა მილიონობით აღფრთოვანებულ გულშემატკივარს.

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ თანაკურსელს უშანგი ხარშილაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა საჩხერის რაიონში, სოფ. კორბოულში (ნიგვზარა) 26.IX. 14 ს.

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს უშანგი ხარშილაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.**





### ფოტოკროსვორდი

თქვენს წინაშეა ნბა-ს ვარსკვლავები. გამოიცანით მათი ვინაობა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ფონსეკა, 7. ბრუმელი, 8. ედელვაისი, 11. გროსი, 12. ჰორტი, 13. ოსაძე, 16. ალონსო, 17. პროსტი, 21. ტრეკი, 22. „ბრედა", 23. ონილი, 26. ბულგარელი, 27. ალქიმია, 28. სტაიერი.
შვეულად: 1. მონტერო, 2. „[illegible]ოდა", 3. ბრასი, 4. ბლაგიძე, 6. რივერა, 9. ოსტროვსკი, 10. ასუნსიონი, 14. ვისტი, 15. „ბორდო", 18. ბრიგელი, 19. დევაძე, 20. ბლატერი, 24. გუნია, 25. პლატი.

### საჭადრაკო ამოცანა

ნ. ჟარკოვი
(რუსეთი)



შამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მf4! - 2. ეd5X; 1. ...კe4 2. მg4X; 1. ...მd6 2. ეde7X; 1. ...მf6 2. ეfe7X; 1. ...gf 2. gfX.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი.